



საქართველოს ქორეოგრაფია

გამოდის 1992 წლის იანვრიდან

№1 (47), იანვარი

2014 წელი

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი

ვიზიტი პრეზანში



გვ.13

დადგება დრო, როცა
ქართველი ხალხი იცვვის:

„უკან უოკლორისკენ!“



გვ.2

დახარისხებული სოფლები, რაიონები, ქალაქები
და სულიერად გაღარიბებული მოსახლეობა

გვ.3



ბრავო,
ოპარ!

გვ.13

„ზეზინა კახი
და ქვეყნისა
ანგელოზი“


გვ.10



გვ.2 საქმე
ღანყეზულია!

გილოსავთ შობა-ახალ წელს!

გვ.14



ნათლისდება – განცხადება
უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა
ჩვენისა იესო ქრისტესი

გვ.6

«სოცხალი წყალი»

(ანუ წყალს შეუძლია
მიიღოს, დაიმასხოვროს
და გადასცეს
ინფორმაცია)

გვ. 7

ქორეოლოგია როგორც მეცნიერება გვ. 4-6

დადგება დრო, როცა ქართველი ხალხი იზჷვის: „უკან ფოლკლორისაკენ!“



საქართველოს ქორეოგრაფიულ მოღვაწეთა შემოქმედებითა კავშირმა 2012 წლის ბოლო დეკადაში შეიმუშავა უახლესი შუალედური და პერსპექტიული სამუშაო გეგმა, სადაც გათვალისწინებული იყო როგორც მეთოდურ-თეორიულ-პრაქტიკული მასტერ-კლასების, სემინარების, სამეცნიერო კონფერენციების ჩატარება, გაზეთის გამოშვება სისტემატურად, წიგნების გამოცემა, ასევე კავშირის ძირითადი საქმიანობა: არა მარტო ფესტივალების, კონკურსების, ოლიმპიადების ჩატარება, არამედ კონსულტაციების განწევა ანსამბლებზე იმის მიხედვით, თუ რას აკეთებს ესა თუ ის ანსამბლი: სწორ გზაზე დგას, მიდის ეროვნული გზით, იღწვის ქართული საცეკვაო კულტურის განვითარებისა და ამდღეობისთვის, სინამდის მოძიებისთვის... ამ მიზნით 2013 წლის ბოლოს უამრავი კონცერტ-ფესტივალი გაიმართა: ნ. დუმბაძის სახელობის თეატრში, გრიბოედოვის სახ. თეატრში, არტ პოლში... ერთ-ერთი შემაჯამებელი, დამავირგვინებელი წლიური შემაჯამებელი გეგმისა გახლდათ კონცერტ-ფესტივალი არტპოლში, სადაც საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან უამრავი ანსამბლი სტუმრობდა თბილისს. წინა საახალწლოდ ძალიან კარგი განწყობა სუფევდა არტპოლში. სწორედ აქ ვთხოვეთ ბ-ნ რეზო ჭანიშვილს ორიოდ სიტყვით გამოეთქვა თავისი აზრი.

– ბ-ნ რეზო, თქვენ როგორ თვლით, გაამართლა საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირის პროექტმა? და თუ ხართ კმაყოფილი ამ სამუშაო გეგმით?

– წელს ვთვლი, რომ ბევრი შევძელით, ეს ღონისძიებაც ერთ-ერთი შემაჯამებელი და დამავირგვინებელია ჩვენი წლიური სამუშაო გეგმისა. მოგეხსენებათ, რომ ჩვენ არა მარტო ვატარებთ ფესტივალებს, კონკურსებს, ოლიმპიადებს, სადაც ცხადად ჩანს, რომელი ანსამბლი რას აკეთებს, არამედ კონსულტაციებსაც ვუწევთ მათ. იმაზე არაა საუბარი, ვინც მართლა მიდის ეროვნული გზით და ზრუნავს ქართული საცეკვაო განვითარებისთვის, არიან ჭარბი უმეტესობა ქორეოგრაფებისა, რომელთაც შემოაქვთ ყოველად მიუღებელი რამ ქართული ქორეოგრაფიისათვის: არაქართული სიუჟეტით, ფორმით, შინაარსით, აზრობრივი დატვირთვით, თუმცა მათთვის მისაღებია ყოველივე ეს. ზოგიერთ ანსამბლს რომ უყურებ, ადამიანს გული გეკუმშება, ყოველგვარ ზღვარს

გადაცილებულია ზოგიერთი ქორეოგრაფის მოძალბებული ფანტაზიები. ხომ დიდებული სანახავია ადიდებული მდინარე? შემდეგ, როცა კალაპატოში ჩადგება, რას გვიტოვებს? – ტბორებს, პრობლემებს. აი, ასეა ამჟამად ქართულ ქორეოგრაფიაშიც. ფოლკლორი ესაა ერის სულიერი სიმდიდრე. დადგება დრო, როცა ქართველი ხალხი იტყვის: „უკან ფოლკლორისაკენ!“ და ამის გამოსწორებას კი ათეული წლები არ ეყოფა.

– ბ-ნ რეზო თავიდანვე რატომ არ დანებდა კონტროლი, ან დღეს ვინ აკონტროლებს ამას?

– როცა დიდი თენგიზ სუხიშვილი იყო კავშირის თავმჯდომარე (მე მოადგილე გახლდით მაშინ) შექმნილი იყო კომისია, რომელიც აკონტროლებდა ანსამბლების მოღვაწეობას. საზღვარგარეთ როცა მიდიოდა ანსამბლი, ჯერ შემოწმებდას გადიოდა და ამის შედეგ წყდებოდა მათი გამგზავრება-არგამგზავრების საკითხი. თუ რამე ცვლილება იყო შესატანი ცეკვაში, ამის გათვალისწინება ხდებოდა.

დღეისათვის ქორეოგრაფთა კავშირი ყველანაირად ცდილობს, რომ აღმოუჩინოს დახმარება ქორეოგრაფებს, ტარდება თეორიულ-პრაქტიკული მეცადინეობები, მასტერ-კლასები. ჩვენ რომ ვტრიალებთ, რომ ჩვენი ჰანგები, ცეკვა მსოფლიოს საგანძურიაო, მაშინ უნდა მივაქციოთ ყურადღება. მაგრამ ეს თუ სამთავრობო დონეზე არ გადაწყდა, ძალიან ძნელი გასაკეთებელია. უნდა აღვნიშნო, რომ ძალიან დიდ დახმარებას გვიწევს ამ საქმეში საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო, მინდა მადლობა გადავუხადო მათ ასევე ფილარმონიაში ჩატარებული ღონისძიება „ბრაგო, ომარ!“ რომ დაგვიფინანსა. ეს არაა უბრალო საქმე, ამხელა ხარჯი გაიღო.

ასევე კულტურის სამინისტროს დამსახურებაა ისიც, რომ საზღვარგარეთ ნასასვლელ ანსამბლებს ჩვენთან აგზავნიან შუამდგომლობის თაობაზე, მადლობას ვუხდით განსაკუთრებით ჩეხეთის, ამერიკის საელჩოს. ჩვენ გვექარება, თორემ... ყველაფერს თავისი სახელი დაერქმევა,

უბრალოდ მეც მინდა მოვესწრო ამას, რომ კავშირიდან კონტროლდებოდეს ეს სიტუა-



ცია, მარტო კავშირი და კულტურის სამინისტრო არ ეყოფა ამას, სამთავრობო დონე უნდა ჩაერთოს. უამრავი ანსამბლია საქართველოში, 500 000-მდე მონაწილეა საქართველოს ქორეოგრაფიაში, ლომის წილი საბავშვო ქორეოგრაფიაზე მოდის.

– თქვენ როგორ ფიქრობთ, რამდენად წარმატებულია საბავშვო ქორეოგრაფია?

– პროცენტულად თუ დავყოფთ: 60% არის ძალიან წარმატებული, 40%-ი კი შეიძლება

დიფერენციაცია მოახდინო. მე იმედი მაქვს, რომ მომავალ წელს დიდი დინამიკა იქნება, როგორც ქვეყნის, ასევე ჩვენი საქმიანობის მხრივ.

– რას ისურებდით ამ ახალ წელს?

– მე ოპტიმისტი ვარ და როგორც ერთ-ერთ რიგით ადამიანს ხომ მაქვს უფლება რომ ვთქვა: უფალო გააძლიერე, გააერთიანე, ააყვავე საქართველო და გააბედნიერე ქართველი ხალხი!

– ღმერთმა გისმინოთ! ამინ!

რუსუდან კანჭოშვილი

საქმე დანყეზულია!

2013 წლის 4 დეკემბერს ქართული ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორმა **ბ-მა ბიორგი უშიკიშვილმა** ფოლკლორის ცენტრში მიიწვია გამოჩენილი ქორეოგრაფები და სპეციალისტები ქართული ქორეოგრაფიისა. ამ შეკრების მიზანი იყო ქართული ქორეოგრაფიის აღიარება იუნესკოს მიერ, როგორც მსოფლიო კაცობრიობის შედეგრი. 2014 წლის 31 მარტამდე იუნესკოს უნდა წარუდგინონ მასალა, დოკუმენტები, იმ ცეკვის ნიმუშები, რომელიც ჯერ ადგილობრივ დონეზე უნდა იქნას აღიარებული, რომ შემდეგ გაიგზავნოს იუნესკოში. იუნესკოს აქვს მატერიალური და არამატერიალური კულტურის ძეგლები. როგორც მოგეხსენებათ, არამატერიალურ კულტურის ძეგლებში შევიდა ქართული სიმღერა „ჩაკრულო“, რომლის მაგალითზეც იქნა აღიარებული ქართული პოლიფონია. ამავე მიზნით ქართული ცეკვებიდან აირჩიეს ცეკვა „ხორუმი“, რომელსაც აქვს დიდი მასალა, იმდენად დიდი, რომ ცალკე აღებული სამეცნიერო ნაშრომიც შეიძლება რომ გამოიცეს. იუნესკო ამას-

ვილებს ყურადღებას შემდეგზე:

I – გაიმართოს შეხვედრები ქორეოგრაფებთან, საუბრები დაფიქსირდეს სურათზე

II – ცეკვის მასალაც, სურათებიც მრავლად უნდა იყოს.

III – რამდენადაა ეს ნიმუში (ცეკვა) ერის იდენტობის მაჩვენებელი. 10 წუთიანი ფილმიც უნდა იქნას გადაღებული. ეს უნდა იყოს ხალხიდან წამოსული და არა სამეცნიერო დონეზე გაკეთებული (სულ მცირე 70 წელი მაინც უნდა სრულდებოდეს ეს ცეკვები)

IV – დაინეროს 250 სიტყვიანი ანოტაცია ამ ცეკვისა.

ცეკვა „ხორუმის“ ნიმუშზე მოხდება სრულიად ქართული ცეკვების აღიარება. აღსანიშნავია, რომ „ხორუმის“ რიტმი და ზომა მსოფლიოში განუმეორებელია. კომისიის წევრები იყვნენ: რეზო ჭანიშვილი, ფრიდონ სულაბერიძე, ომარ მხეიძე, მანანა აბაზაძე, გულიკო სიხარულიძე, თენგიზ უთმელიძე.

ამ კეთილი საქმით ბევრი რამ გადამყდება ზოგადად ქართულ ქორეოგრაფიაშიც. მთავარია საქმე დანყეზულია!



დასარიღებული სოფლები, რაიონები, ქალაქები და სულიერად გაღარიბებული მოსახლეობა



იური ტოჩრაქია

იმის გათვალისწინებით, თუ რა ვითარებაში ვიმყოფებით საქართველოს მოქალაქეები, ჯერაც გაურკვეველია ჩვენი ქვეყნის ორიენტირი – თუ საით უბერავს პოლიტიკური სიო: ევროპისკენ, აზიისკენ თუ ამერიკისკენ, ან სულაც შემოფოტებისა და აღშფოთების რეჟიმში თუ უნდა იყოს დასავლეთი ჩვენი დაკარგული, წართმეული ტერიტორიების გამო, რომელიც არცთუ ისე ჭკვიანური პოლიტიკური ნაბიჯების, ჩვენი პოლიტიკური უმნიშვნელობისა და სინტეზის გამო გვჭირს. სხვამ რაც გვიყო ნათელზე ნათელია, მაგრამ მოსაკითხი ჩვენს თავსაც მოვკითხოთ! წინა წერილებში აღვნიშნავდი ჩემს მოსაზრებებს სოფლებში, რაიონებში, ქალაქებში არსებული ვითარების შესახებ, ვისაუბრე, როგორ გაუსაძლის მდგომარეობაშია იქ მაცხოვრებელი ყველა ასაკის ადამიანი, თუ როგორი კატასტროფული მდგომარეობაა საცხოვრებელი ადგილებიდან მათი მიგრაციის გამო. გავიხედოთ თბილისის გარეთ, ყველა რეგიონში, ყოველ მეორე თუ არა მესამე ჭიშკარს ბოქლომი ადევს, ბინები დაკეტილია, ხალხი თბილისშიც აღარ ჩერდება უკვე, ხოლო საზღვრებს გარეთ ჩვენი თანამემამულეებისაგან იქმნება სათვისტომოები, კოსმიური სიჩქარით გაედინება ქართველთა გონი, ნიჭი, აზრი, ჯანი და ღონე, უდიდესი კულტურული მონაპოვარი, კერძოდ, ქართული ქორეოგრაფიის ნიმუშები. მსოფლიოს მასშტაბით ნახეთ და გაეცანით ინტერნეტ საშუალებებით რომელმა ქვეყანამ არ მიითვისა ჩვენი საცეკვაო, ქართველთა საუკუნოებრივი მონაპოვარი, ავტენტური ქორეოგრაფიული კულტურა, მე იმ აზრისაგან შორსა ვარ, რომ მსოფლიო პოლიტიკური ინტეგრაციის პირობებში სხვადასხვა ხალხები არ უნდა ეცნობოდნენ ერთმანეთის საცეკვაო ან სხვა ჟანრის ხელოვნებებს, მაგრამ კეთილი ინებონ და ყველაფერს თავისი სახელი დაარქვან, რამეთუ იქმნება აზრი იმისა, რომ ესა და ეს ცეკვა არა ქართულს, არამედ კავკასიის სხვადასხვა ეროვნებებს მიეკუთვნება. ეს, ასე ვთქვათ, კეთდება ძალიან ემპაკური მეთოდებით, ჩვენ კიდევ ვდუმვართ. არც ქართველებს სჭირს საიმისო რამ სხვათა ცეკვებს ვცეკვავდეთ, ეს არ ეხება „ქართულ ნაციონალურ ბალეტს „სუხიშვილებს“, რამეთუ მათ საცეკვაო პროგრამაში ოდითგანვე არსებობდა კავკასიელ ხალხთა ცეკვები, ოსური „სიმდი“, ოსური „ხონგა ქავთ“, ყაბარდოული „უჩხეუთი“, ჩეჩნური საცეკვაო,

და სხვა ეროვნებათა ცეკვები, რადგან ანსამბლის რეპერტუარი უნდა ყოფილიყო მდიდარი და საინტერესო იმ ქართულ, საოცრად მაღალ ოსტატურად დადგმულ, ცეკვებთან ერთად. ამ საკითხების მოგვარება სასიცოცხლოდ აუცილებლად მიმანია და მას კოორდინირება უნდა გაუწიოს ხალხური შემოქმედების ეროვნულმა ცენტრმა, საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითა კავშირმა, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მეთვალყურეობით, მისი უშუალო დახმარებით, რაც გამოიხატება მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური ბაზის შექმნით, სხვანაირად ეს საქმე წინ ვერ წაინეცს, ეს ჩემი აზრია. ახლა რასაც მოგახსენებთ, ამის გამო ბევრი გადამეტყრება, ბევრს გულს ვატკენ, ბევრიც დამემდურება, ისიც ვიტყვი „ზოგჯერ თქმა სჯობს არა თქმისა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“, ან „სიმართლის მთქმელს ცხენი შეკაზმული უნდა ჰყავდესო“, არც იმ ურთიერთობების ცნებებს არ ვლაღობ, რომელსაც სხვის საქმეში ჩაურევლობა ჰქვია, ეს ჩემი ცხოვრების წესია და ვერაინ დამაყვედრის სხვათა განქიქება ან განკითხვა მსიამოვნებდეს, მაგრამ სათქმელი ხომ უნდა თქვას ვინმემ, როდემდე ვიცხოვროთ და ვაცხოვროთ ჩვენი მომავალი თაობები ტყუილში, სიცრუეში, შეიძლება კი ასე ცხოვრების გაგრძელება?

შეიძლება ვისაც ხელენიფება, ევალება და მისი საქმიანობის კრედიტა, ის მოკრძალებით ეწოდეს იმ საქმიანობას, რაც მისი სამსახურებრივი მოვალეობაა, კერძოდ, ქორეოგრაფიული შემოქმედების ფესტივალები საბავშვო, ახალგაზრდული, შემოქმედებითი საღამოები, საიუბილეო საღამოები, ხსონის საღამოები, და სხვადასხვა თემატური, შემეცნებითი საღამოები, რასაც უზარმაზარი ძალისხმევით ეწევა ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი მიუხედავად უბინაობისა და უფინანსობისა.

გაიხედავ და ყველა საცეკვაო ბაქანზე, კლუბებში, კულტურის სახლებში, თეატრებში, ლამის სადარბაზოებშიც ატარებენ ფესტივალებს ვიღაც შ.პ.ს. ორგანიზაციები, ხალხი, რომლებიც საერთოდ გაგებაში არ არიან, თუ რა არის ცეკვა.

შ.პ.ს. ადრე მეგონა რაღაც მცირე ბიზნესის მწარმოებელი ორგანიზაცია, რომლებიც სხვადასხვა პროფესიის მენარმეებმა შექმნეს, მაგრამ შეიძლება

სახელმწიფო რეესტრის სამსახურმა ყველა მსურველს გაუხსნას ფონდები, კავშირები, სამსახურები და მიანიჭოს ის უფლებები, რომლითაც იღვნიან ის შემოქმედებითი კავშირები, რომელთაც 70, 50, 30 წლიანი მოღვაწეობის სტაჟი ამძიმებთ. არა და არა! ყველაფერს დემოკრატია ნუ დავაბრალებთ! ეს ისევე და ისევე იმ განვლილი ავადსახსენებელი 9 წლიანი უკულმა ნაკეთები პოლიტიკის ბრალია. გამოჩნდება ვინმე ამ საქმის დამლაგებელი? აუკრძალავს ვინმე კატებს ყფას? დაერქმევა ყველაფერს თავისი სახელი? მე მესმის იმ ხალხის – ისინი ამ საქმით ლუკმა-პურს შოულობენ, სხვა აზრი აქ არ არსებობს, მაგრამ, თქვე დალოცვილებო, სხვა საქმე ვერაფერი მოგინახიათ ლუკმა-პურის საშოვრად? თუ კი ვინმეს რაიმე განსხვავებული აზრი გაუჩნდება, მე პატივს ვცემ ნებისმიერის აზრს და მზადა ვარ, კერძოდ თუ საზოგადოდ, ამ საკითხების განსახილველად და არა საკამათოდ, რამეთუ ჭეშმარიტება კამათში შეიძლება სულ არ მოიპოვებოდეს. სანერვილოც არაფერია, ყველამ თავისი საქმე აკეთოს. პური მეპურემ გამოაცხოს, პედაგოგებმა მომავალი თაობები აღზარდონ, ხოლო შ.პ.ს.-ებმა ცოტა მადა მოთოკონ და დაუკრეფავში ნუ გადადიან. ამან წყენა იცის, თორემ ისე გაუფასურდა ეს ეგრეთწოდებული ფესტივალები, ისე არ მოგვივიდეს, „მგელი მოდის, მგელი მოდისო“ და რაც მოხდა შემდეგ ყველამ კარგად ვიცით. ჩატარებულ ფესტივალს თავისი პენი, დატვირთვა, შინაარსი უნდა ახლდეს. ჩატარებულმა ღონისძიებამ ეფექტი უნდა მოახდინოს, როგორც მონაწილეებზე, ასევე მყურებელზე. ყოველთვის შეიძლება არ გამოგვივიდეს, მაგრამ ჩვენ ცდა არ უნდა დავაკლოთ. მას უნდა ახლდეს იდეა, აზრი. სულ მალე დამტკიცდება 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, გასაგებია ქვეყანას უჭირს, შეიძლება არ გვეცეკვებოდეს, არ გვემღერებოდეს, მაგრამ სახელმწიფოში უნდა ფიქრობდეს ვიღაც იმ საკითხზე, რომ თუ არ მიეხედა ამ საშვილიშვილო საქმეს, საბავშვო ქორეოგრაფიის აღორძინებისა და განვითარების საქმეს, თუ არ მოინახა გარკვეული რაოდენობის თანხა და ეს თანხა არ ჩაიდო საქმის საკეთებლად მიზანმიმართულად, როცა სახელმწიფოს მდგომარეობა გაუმჯობესდება ეკონომიკურად, ფინანსურად, პოლიტიკურად, ფინანსებიც გამოჩნდება. ვილაცას გაახსენდება, რომ მისახედს უნდა მიეხედოს,

ვშიშობ, შემდეგ გვიან არ იყოს! თუ არ შევეუქმნით სასათბურე პირობებს ამ ყოვლადაუცილებელ საქმეს, შემდეგ სინანული გვიან იქნება! მითქვამს და ვიტყვი: ჩემი ნაწერი ვინმეს გაკვირვება, აღფრთოვანება ან გაბრაზება არც მიფიქრია, ეს ერთი ჩვეულებრივი მოქალაქის ნაზრევი, რომელსაც არავითარი პრეტენზია არ გააჩნია ვინმეს მოგახვიოთ. ეს ის გულისტკივილია, სურვილია მოსახდენისა, რომელიც 43 წლიანმა, მომავალ თაობებთან მუშაობის განვლილმა წლებმა რომ დამიგროვა. ჩემი აზრით, ასე ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა მიეხედოს ყველა დარგს, რომლებიც აუცილებლად საჭიროებენ სახელმწიფოსგან თანადგომას. სხვანაირად ვერცერთი დარგი ვერ განვითარდება, ვერ აღორძინდება, თუ არ შეექმნა შესაბამისი პირობები, თუნდაც მცირე, მიზეზული ყოველწლიური მატებებით ანუ მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური ბაზით.

გავკადნიერდი და გადავწყვიტე ეს ჩემი ნაზრევი, არსებული პრობლემებით საჯაროდ განმეცხადებინა. მადლობა მათ, ვინც გამიგებს და გულთან ახლოს მიიტანს, ხოლო ვინც ვერ გაიგებს, ესეც არ არის პრობლემა. ღმერთმა დაგვიფაროს ერთნაირი ტრაფარეტული აზროვნებისაგან, და ჩემ წერილს დავამთავრებ დიდი მწერლისა და პედაგოგის ჟან ჟაკ რუსოს სიტყვებით: „მცდარიც რომ იყოს ჩემი აზრები, თუ ისინი სხვებს კარგ აზრებს გაუღვიძებენ, ტყუილ-უბრალოდ არ გამიცდენია დრო“.

საქართველოს ქორეოგრაფიის
მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის
თავმჯდომარის მოადგილე
იური ტოჩრაქია
ქართული ქორეოგრაფიის ამაგდარი,
ღირსების ორდენის კავალერი.

„კარგი საქმე არ ნახდებია...“

ცნობილია, რომ საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებით კავშირთან თანამშრომლობს არაერთი პროფესიის ადამიანი. ერთ-ერთი მათგანია ღირსეული ბათუმელი ბატონი ვალერი მოქერია. მან ცხოვრებისა და მოღვაწეობის სანიშნო გზა განვლო. ეკავა ფრიად საპასუხისმგებლო თანამდებობები. ნაყოფიერად იღვწოდა მშობლიურ ბათუმში, თბილისსა და მოსკოვში... ყველგან წარმატებული საქმიანობით, ინიციატივით გამოირჩეოდა.

საცოდნელია, რომ ადრეულ წლებში იგი აჭარის პრესტიჟულ ანსამბლებ-

საც ამშვენებდა. ასეთებია: ბათუმის პიონერთა პარკის ანსამბლი „გაზაფხული“, ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ანსამბლი, ბათუმის საქალაქო ანსამბლი „სალალობო“, აჭარის პროფესიონალური კოლექტივიც. დაჯილდოებულია მედლებითა და სიგელებით.

დროის გზასავალზე ვალერი მოქერია ამ რთული, საპატიო და საქველმოქმედო პროფესია აირჩია, რამაც ხელი შეუწყო თავისი სიკეთე უხვად წარმოეჩინა. ყოველთვის ინტერესდებოდა ქართული კულტურისა და ხელოვნების ანმყოფი და მომავლით. გულწრფელი მეცენატობით ხალხის პატივისცემა დაიმსახურა.

ამ ახლო ხანებში, საკუთრივ, 2013 წლის 31 აგვისტოს ბათუმის აკაკი წერეთლის სახელობის საჯარო ბიბლიოთეკასთან დადგა სკულპტურა „საქართველოს მარგალიტი“. ხელოვნების ეს ძეგლსავე ქმნილება მისი მარადიული სახსოვარია ბათუმისათვის.

ბატონმა ვალერმა დამსახურებულ პიროვნებებს ქორეოგრაფიისა და სხვა დარგის მოღვაწეებს თანაუგრძნო, იმედი გაუძლიერა, სიცოცხლე გაუხალისა. მისი მიზანია სასიკეთო ურთიერთობები ჰქონდეს ქართულ ქორეოგრაფიასთან, ქმნის საყურადღებო თანადგომის საშუალებებს.

„კარგი საქმე არ ნახდებია...“ – ნათქვამია. საქართველოს ქორეოგრაფიის კავშირი დიდად ემადლიერება ამაგდარ პიროვნებას, ნამდვილ საზოგადო მოღვაწეს.

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ ბატონი ვალერი მოქერია დაჯილდოვდეს „საქართველოს ქორეოგრაფიის ამაგდარის ორდენით“.

გულითადად ვულოცავთ ბატონ ვალერი მოქერიას სასახელო ჯილდოს.

პატივისცემით:
რაზო ჭანიშვილი, ოზარ მხაიკა
ფრიდონ სულაბერიძე, რევაზ ჭონაძე
გივი სიხარულიძე, თინათინ უთმალია, ზაურ ლაზიშვილი,
ოლეგ ალავიძე, უჩა ღვალაშვილი,
რევაზ გალანდიაძე, იური ტოჩრაქია



საუბრები ქორეოგრაფიაზე

ქორეოლოგია როგორც პენიშენება

ციონირების საკითხებს.

რადგან ეს ყველაფერი მართლაც ძალზედ საშური და აქტუალურია, გადავწყვიტეთ ქართველ ქორეოგრაფთა და საკითხის პრობლემატურობით დაინტერესებული მკითხველისთვის განკუთვნილ გაზეთში, მის თითქმის ყველა ნომერში წამოვიწყოთ მსჯელობა ზემოაღნიშნული საკითხების გარშემო. ეს იქნება ერთგვარი სასტარტო პოზიცია, ერთგვარი ძაღლის მოსასინჯი ველი, სადაც დიდი სიამოვნებით დაგუთმობთ ასპარეზს ყველას, ვისაც სურვილი და ძალმოსილება ექნება ამგვარ საშვილიშვილოდ მნიშვნელოვან საქმიანობაში.

მკითხველს ამთავითვე მინდა შევპირდე (ცხადია, თუ ჩვენეული შეპირება მისთვის რამეს ნიშნავს), რომ საგაზეთო წერილებში ჩვენ მკაცრად თანმიმდევრულნი ვერ ვიქნებით და მხოლოდ ქორეოლოგიის საკითხებზე საუბრით ვერ შემოვიფარგლებით. ეს ნიშნავს, რომ სხვადასხვა წერილში ჩვენ შევეხებით ყველა იმ მეტ-ნაკლებად არსებით საკითხს, რომელიც ცეკვის ხელოვნების არსთან, მის არსებობასთან არის დაკავშირებული. ამიტომ მოგვიწევს ვისაუბროთ ადამიანისა და მასთან მიმართებაში ცეკვის ხელოვნების წარმოშობის საკითხებზე, ხალხის, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა ქართველთა ეთნოგენეზის პრობლემებზე, ქორეოგრაფიული პედაგოგიკის ნიუანსებზე და ა.შ. საუბრების დროს ადვილი შესაძლებელია ახალი თვალსაზრისებიც დაიბადოს, საკამათო დებულებებიც გამოჩნდეს, მაგრამ ეს ხომ ჩვეულებრივი ამბავია. კამათი ჭეშმარიტებას შობს, ჭეშმარიტება კი ყველა ჩვენგანის საერთო მიზანია.

ქორეოგრაფიული ხელოვნების, საზოგადოდ, ქორეოკულტურისა და განსაკუთრებულად, ქართული ცეკვის შესახებ დღემდე ბევრი დამინერია, ბევრი ლექციაც წამოკითხავს და კიდევ უფრო მეტი მიფიქრია... მიუხედავად ყოველივე ამისა, განსაკუთრებული ჩაძიებითა და გულმოდგინებით ზემოაღნიშნული საკითხების ირგვლივ ფიქრსა და წერას, სწორედ ახლა ვინცებ.

შევეცდები შევიდე ქორეოგრაფიული ხელოვნების ვრცელ სამყაროში, თუმცა მხოლოდ უმთავრეს საკითხებს შევეხები და მათ შესახებ ვიმსჯელებ ისე, როგორცაა მე ეს შემიძლია, ან კიდევ რა თვალსაზრისითაც თითოეულ მათგანს აღვიქვამ.

საკუთარმა პრაქტიკულმა გამოცდილებამ და ქორეოკულტურის საკითხებზე გამოცემული სპეციალური ლიტერატურის ანალიზმა დამარწმუნა, რომ ძალიან ბევრ სპეციალისტს, ან კიდევ ჩვენთვის საინტერესო სფეროსთან უბრალოდ დაახლოებულ პიროვნებას, ქორეოგრაფია მეტისმეტად იოლ საქმედ ეჩვენება. ისინი საკმაოდ ზედაპირულად, პირველადი შთაბეჭდილებების დონეზე, მსჯელობენ, საკმაოდ რთული საკითხების ირგვლივ და შესაბამისი დასკვნებიც გამოაქვთ. ეს კი ხდება მაშინ და იმ დროს, როდესაც საცეკვაო ხელოვნების სახით საქმე გვაქვს ძალიან რთულ კულტურულ კონსტრუქტთან, რომლის შინაგანი ბუნება, ფორმალურ-ლოგიკური სტრუქტურა, გაცხადების მრავალფერ-

ოვნება თუ მხატვრულ სახეთა სამყარო სავსეა მოულოდნელობებით და პრობლემებით. წმინდა თეორიულ დონეზე მათ შესახებ მსჯელობა, როდესაც ჭეშმარიტებისაკენ მიმავალ გზებს ეძებ, საჭიროცაა და აუცილებელიც, თუმცა ზემოაღნიშნული სირთულეთა დაძლევის ერთი ადამიანის ძალისხმევა ხშირად არ ჰყოფნის. ამიტომ ყოველმა მხატვრულ-ესთეტიკური საქმიანობის ეს სფერო უყვარს, ალბათ, იმაზე უნდა ისაუბროს, რაც მას ხელეწიფება, რა ასპექტითაც იგი მისთვის მისაწვდომია, რითაც განცვიფრებულია, აღფრთოვანებულია, ან კიდევ რამაც მისი იმედგაცრუება გამოიწვია.

დაკვირვებულმა მკვლევარ-მოაზროვნებელმა კარგა ხანია შენიშნეს, რომ ადამიანის გონებას, მთელი რიგი დადებითი თუ უარყოფითი მახასიათებლების პარალელურად, ერთი სერიოზული ნაკლოვანება გამოარჩევს. უკანასკნელი იმაში ვლინდება, რომ ადამიანთა საკმაოდ მოზრდილ ნაწილს სჩვევია ნებისმიერი, ერთის შეხედვით თვით იოლად გასაგები საკითხები კიდევ უფრო გაამარტოვოს, პრობლემის არსი ჰაიპერად წარმოაჩინოს, ხოლო საკუთარი მოქმედება საყოველთაოდ ცნობილი ფორმულით – „არ უნდა მაგას დიდი ფილოსოფია“ – გაამართლოს. საოცარია, პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, რომ ადამიანთა უმეტესობას სწამს და სჯერა, რომ თითქმის ყველაფერი იცის, რასაც კი მისი გონება და საქმიანობის სფერო ეხება, განსაკუთრებით ნათლად მათ ის საკითხები „ესმით“, რაც ხელოვნებასთან, სპორტთან, მომავალი თაობის აღზრდასთან, პოლიტიკასთან არის დაკავშირებული. აქ ყველა ექსპერტია და არც სხვისთვის ჭკუის სწავლებას ერიდება. სამწუხაროდ, ბევრ მათგანს წარმოდგენაც კი არ აქვს იმის თაობაზე, რომ ე.წ. „მარტივი“, შეიძლება ყველაზე რთული აღმოჩნდეს და საბოლოო ჯამში ვერც ვერაფერი გაუგო საკითხს, რომლის არსში წვდომასაც თითქოსდა „დიდი ფილოსოფოსობა არ ესაჭიროება“.

ასეთ ინდივიდებს არაფერს ეუბნება ცნობილი ბერძენი ფილოსოფოსის სოკრატეს მაგალითი, რომელიც ადამიანებს თავს იმით „აბეზრებდა“, რომ ათენის მოედანზე გამოდიოდა, თანამოაზრებს ეძებდა და ბოლოს, როდესაც ასეთს იპოვებდა ნინასწარვე ამუნათებდა – მე მხოლოდ ის ვიცი, რომ არაფერი ვიცი და ეგებ რამე მასწავლოო. გულმოდგემული თანამოაზრე, რომელიც სოკრატესგან განსხვავებით ფიქრობდა, რომ ყველაფერი იცოდა და ყველა საკითხში ერკვეოდა, თამამად იწყებდა ფილოსოფოსის განათლებას „ზრუნვას“, თუმცა სულ მალე ირკვეოდა, რომ მას იმის მესაგედიც არ ესმოდა, რა ცოდნასაც ფილოსოფოსი ფლობდა.

უმთავრესი განსხვავება მათ შორის კი მაინც იმაში იყო, რომ ერთს სწამდა და სჯეროდა – არაფერი ვიცი, არაფერი გამეგებო, მეორეს კი ამგვარი ცოდნაც არ ჰქონდა.

რაკი სიტყვა სოკრატესა და ფილოსოფიურ ცოდნაზე ჩამოვარდა, მოდიო აღნიშნულ საკითხს უფრო მეტად ჩავუღრმავებთ და როგორც იტყვიან, ბოლომდე მივყვით. თუმცა, ამაზე ოდნავ მოგვიანებით, ახლა კი ისევ სიძნელეთა

რიგს უნდა მოვუბრუნდე.

გამოჩენილ ფრანგ მწერალს, მხატვრული სიტყვის დიდ მესაიდუმლეს სტენდალს აქვს ნათქვამი: ერთნაირად ძნელია დააკმაყოფილო მკითხველი, როდესაც წერ ნაკლებ საინტერესო, ან თუნდაც მეტის-მეტად საინტერესო საგანზე. აღნიშნული სიტყვები XIX საუკუნის პირველი ნახევრის ვითარების გამოსახატავად და იმდროინდელი ფრანგი მკითხველის გასაგონად ბრძანად დიდმა მწერალმა, თუმცა მისი შინაარსი მარტო თანადროული ეპოქის რეალობას როდი იყო ზედმიწევნით მორგებული! მას თავისი მნიშვნელობა აქამდე არ დაუკარგავს და როგორც ჩანს, სამომავლოდაც ასე იქნება.

საქმე კი ისაა, რომ მართლაც ძალიან ძნელია დააკმაყოფილო ცნობის და ცოდნისმოყვარებით გამოარჩეული მკითხველი, თუნდაც იმის გამო, რომ მეტის-მეტად პირობითია: „ძალიან საინტერესო“ „ნაკლებ საინტერესო-გან“ გამოიჯენა. ადამიანები ხომ ამგვარ საკითხებს სუბიექტური პოზიციიდან უდგებიან. ამიტომაც, ის, რაც საინტერესოა ერთისთვის, ნაკლებად ღირებულია მეორესათვის და ა.შ. არის სხვა პრობლემაც, კერძოდ, ხშირია შემთხვევები, როდესაც მკითხველის სამსჯავროზე წარდგენილი პრობლემის ირგვლივ მშობლიურ ენაზე შესრულებული გამოკვლევები საერთოდ არ მოიპოვება, თუმცა სხვადასხვა წყაროების, განსაკუთრებით კი ინფორმაციის მასობრივ საშუალებათა მეოხებით, ასევე საკუთარ პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, ადამიანებს საკმაოდ მყარი წარმოდგენები უმუშავდებოდა მათთვის საინტერესო პრობლემებისა თუ საკითხების ირგვლივ.

როდესაც აღნიშნულ საკითხებზე ვმსჯელობთ, არც ის ფაქტორი უნდა გამოგვრჩეს, რომ ნებისმიერი სამეცნიერო პრობლემის ირგვლივ საუბარი (ქორეოლოგიის პრობლემისა კი სწორედ ასეთია!), ლოგიკურ მსჯელობათა განსაკუთრებულ სიმრავლეს და სპეციალურ წყობას მოითხოვს, შესაბამისად, მკითხველის მხრიდან მისი აღქმა გაძნელებულია, განსაკუთრებით ისეთ შემთხვევებში, როდესაც ეს უკანასკნელი მიჩვეული არ არის ამ ტიპის ლიტერატურაზე მუშაობას.

მიუხედავად სიძნელეებისა, სხვა გამოსავალი უბრალოდ არ არსებობს. წიგნების დანიშნულება, თუნდაც იგი ძნელად საკითხავი იყოს, ხომ ისიცაა, რომ მან დაინტერესებულ ადამიანებს ცოდნაც მისცეს და თვით საზოგადოებას წიგნიერების მაღალი კულტურისაკენ უბიძგოს. ავტორს კი, ვისთვისაც ეს იდეა მისაღებია, ისლა დარჩენია პატიოსნად იმსჯელოს საკითხებზე, რომელიც მისი აზრით საჭიროა, აუცილებელია, აქტუალურია და რომელთა თაობაზეც ერთიანი მსოფლმხედველობრივი პოზიციების შემუშავება მხოლოდ კეთილი საქმეებისაკენ არის მიმართული.

ადამიანის ცნობიერებაში, ცხოვრებისა და განსაკუთრებით საგანმანათლებლო სისტემის მეშვეობით, განმტკიცებულია აზრი, რომ სამეცნიერო პრეტენზიის მქონე ნებისმიერ გამოცემაში, განსაკუთრებით თუ იგი მომავალი სპეციალისტებისათვის არის განკუთვნილი, მხოლოდ ალიარე-

დღეს უკვე აღარავინ კამათობს იმ საკითხზე, რომ ცეკვის ხელოვნებაში ჩვენს ქვეყანაში განვითარების მაღალ დონეს მიაღწია. ნათქვამი განსაკუთრებით ითქმის ფოლკლორული საცეკვაო კულტურის შესახებ, რომელიც უკანასკნელი 70-80 წლის მანძილზე მთელმა მსოფლიომ გაიცნო და „მერვე საოცრებადაც“ აღიარა. ის, რაც აქ ქართული ცეკვის განსაკუთრებული წარმატებების შესახებ ითქვა, უპირველეს ყოვლისა, დაკავშირებულია პრაქტიკულ, სასცენო-შემოქმედებით მხარესთან, რაც შეეხება ცეკვის ხელოვნების შესახებ თეორიულ-მეცნიერულ გააზრებებს, რომელზეც უნდა აგვიხსნას, თუ რა პროცესები მიმდინარეობს ხელოვნების ამ სფეროში, აქ მდგომარეობა, სამწუხაროდ, გაცილებით რთულადაა. არც ქართული ცეკვის ისტორია და არც მისი თეორია პირვანდელი, სასტარტო მდგომარეობიდან შორს არ წასულა, ხოლო ცეკვის კრიტიკა იმთავითვე არ გვქონია და დღესაც, ბუნებრივია, არ გავაჩნია.

როდესაც ამგვარ თვალსაზრისს გამოვთქვამთ, ეს სრულიადაც არ ნიშნავს თითქოს ჩვენ იგნორირებას ვახდენდეთ ან კიდევ არადა ვაგდებდეთ იმ შრომას, რომელიც ქართველმა სპეციალისტებმა, მათ შორის ბატონმა დავით ჯავრიშვილმა, ქალბატონმა ლილი გვარამაძემ, ბატონმა ავთანდილ თათარაძემ, მერე კი მათმა აღზრდილმა, შედარებით ახალგაზრდა სპეციალისტებმა გასწიეს ქართული საცეკვაო ფოლკლორის თავისებურებათა შესასწავლად. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს ყოველივე ზღვაში წვეთია დანარჩენ ამოცანებთან შედარებით და, რაც მთავარია, ლომის წილი ამ სამუშაოებში მოდის ისტორიული პროფილის საკითხებზე. თეორიისა და კრიტიკის საკითხები კი უმეტესწილად ჩრდილშია მოქცეული.

დაკვირვებული მკითხველი შეიძლება შემოგვედაოს – ისტორიის საკითხების შესწავლა-გამუქება თეორიის გარეშე სად გაგონილაო და მართალიც იქნება. ჩვენ მიერ ზემოთჩამოთვლილი და სხვა ავტორთა გამოკვლევები გარკვეული დოზით თეორიულ საკითხებსაც ეხება, მაგრამ ეს ყველაფერი მოცემულია საკმაოდ მწირი მეთოდოლოგიური პოსტულატების ფონზე, რადგან შესრულებულია სხვა დრო-სივრცეში, სხვა მოთხოვნებისა და კრიტერიუმების მიხედვით.

დღეს უკვე სხვა ეპოქაა და ასპარეზზე გამოდის ქორეოგრაფთა და ქორეოლოგთა ახალი თაობები. შესაბამისად მათ სხვა ვალდებულებებიც გააჩნიათ. ყველაფერი უნდა გაკეთდეს საიმისოდ, რომ აღიზარდოს სპეციალისტთა ჯგუფი თუ ჯგუფები, რომლებიც კვლევის ახალი მეთოდოლოგიით (ჰერმენევტიკა, სემანტიკა, სემასიოლოგია...) შეიარაღებული ახლებურად გაიზარებს ქართული ხალხური ცეკვის წარსულის, დღევანდლობისა და მომავალი ფუნქ-

4 33 ბული ქვეყნის მართვა და მართვა უნდა იყოს თავმოყრილი. აღნიშნული მოსაზრება, შეიძლება თავისთავად სწორიც კი იყოს, ოღონდ ნაწილობრივ და ყველაზე ნაკლებად კი ისეთ დისციპლინასთან მიმართებაში, როგორც ხელოვნებათმცოდნეობა და მასში შემავალი მეცნიერებები. ამიტომაც ზემოთ მოტანილი საკამათო საკითხი ავტორს აუცილებელ ქვეყნის მართვაში გამოეცხადებინა, თავსაც მოიტყუებდა და მკითხველსაც შეცდომამი შეიყვანდა.

დაინტერესებულმა ადამიანებმა უთუოდ კარგად იციან, რომ თუნდაც მხოლოდ ანტიკური ეპოქიდან მოყოლებული, საზოგადოდ, ხელოვნებისა და კერძოდ, მისი ცალკეული დარგების შესახებ წერდნენ. პლატონი, არისტოტელე, ლუკრეციუსი, ლუკიანე... აღნიშნულ პრობლემას ეხებოდნენ ქრისტიანი ავტორები, თეოლოგიაში განსწავლული მოაზროვნენი, მერე ალორძინების დიდი წარმომადგენლები: ალბერტი, ლეონარდო და ვინჩი, მიქელანჯელო, ჩენინო ჩენინი, კიდევ უფრო გვიან ევროპელი განმანათლებლები: დიდრო და ლესინგი, მათ შემდგომ: კანტი, ჰეგელი, ტოლსტოი, ჩერნიშევსკი, ჰაიდეგერი, ფროიდი, იუნგე...

მკითხველი დამეთანხმება, რომ ამ სიის გაგრძელება უსასრულოდ შეიძლება, თუნდაც მხოლოდ გენიოსების აზრის, კორიფთა გვარსახელების ჩამოთვლის ხარჯზე, თუმცა ვერც ეს ჩამონათვალი და ვერც ხელოვნების შესახებ დანერგილი ასეულობით წიგნი საკითხის არსსა თუ სიძნელეებს ბოლომდე ვერ ხსნის. ცხადია, უამრავი პრობლემა ამგვარი მუშაობის შედეგად სადღეისოდ ბევრად უფრო გასაგები და ნათელია, ბევრი რამ გარკვეულია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ არის საკითხები, რომელიც გადაუწყვეტელი იყო, ვთქვათ, არისტოტელეს დროს და გადაუწყვეტელია დღესაც.


ფაქტია, რომ ფილოსოფიურ-ესთეტიკურ და სახელოვნებათმცოდნეო აზროვნებაში, ყველა მისი მიმართულებით სათქმელი არ იღვევა. ამის მიზეზი კი ისაა, რომ საკუთრივ ხელოვნების სფეროა უსაზღვრო, მიგნება-აღმოჩენებით სავსეა და დაუსრულებელ-დაუმთავრებელი. თვით მის ყველაზე სასრულ ვარიანტებშიც კი ყოველი თაობა, მხოლოდ მისთვის ნიშნულ სამყაროს წარმოაჩენს და ახალი წარმოდგენებით ავსებს იმ მარადიულ იდეებს, რომელიც შემოქმედ ადამიანს შთაგონებას ჰგვრიდა გუმინ და გუმინნი, ალაფროთივანებს დღესაც და როგორც ჩანს, არც შთამომავალს მოასვენებს სახვალად.

სწორედ ამის შედეგია, რომ ცალკეულ ეპოქაში ჩნდება ხელოვნების ახალ-ახალი დარგები, ასპარეზზე გამოდის და ადამიანთა თვალსაწიერს იპყრობს, სრულიად მოულოდნელი არტეფაქტები, იცვლება შეხედულებები, მდიდრდება მეცნიერული აზრი და შესაბამისად სრულიად მოულოდნელ სახეს ღებულობს მსოფლმხედველობრივი წარმოდგენები, რომელიც ცოტა ხნის წინ ურყევ დებულებებად გვეჩვენებდა ალიარებული და აქსიომურ ქვეყნის მართვაში მიგვანდა.

მეცნიერული აზრის ისტორია, თუკი ობიექტური სამყაროს შესახებ უძველესი ადამიანის მიერ მოგროვილ პატარა-პატარა დაკვირვებებსა და მიგნებებს მეცნიერულ წარმოდგენათა პირველ ყლორტებად მივიჩნევთ, საუკუნეთა სიღრმეში იღებს სათავეს. ამ მხრივ, სერიოზულ წარმატებებს მიაღწიეს ძველი აღმოსავლეთის, კერძოდ, შუამდინარე-

თის, ეგვიპტის, სულ ბოლოს კი ანტიკური სამყაროს ქვეყნებმა და ხალხებმა განსაკუთრებული აღმავლობა მეცნიერული აზრის განვითარებაში დაიწყეს დიდი სახელმწიფოების ჩამოყალიბების ეპოქიდან. თავის შედარებით მწყობრი და ლოგიკურად დასრულებული სახე კი აღნიშნულმა პროცესმა ანტიკურ საბერძნეთში მიიღო. სწორედ ამ სივრცეში, მრავალფეროვანი მითოლოგიური წარმოდგენების განვრცობისა და მერე მისი განვითარების გზით მომზადდა ნიადაგი მწყობრი მსოფლმხედველობრივი, უფრო ზუსტად კი ფილოსოფიური აზროვნების განვითარებისა და ბოლოს მისი წიაღიდან სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინის გამოყოფისათვის.

ქორეოლოგია, როგორც „ლოგია“, როგორც „სწავლება“ და „აზრი“ სხვა მეცნიერებების მსგავსად სათავეს ფილოსოფიიდან იღებს. უფრო ზუსტი იქნებოდა თუ ვიტყვით, რომ „ქორეოლოგია“ მას შემდეგ ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად, როდესაც ფილოსოფიას გამოეყო ჯერ „ესთეტიკა“, შემდეგ კი „ხელოვნებათმცოდნეობა“. აღნიშნულ პროცესს ლოგიკურად მოჰყვა სხვადასხვა სახელოვნებო „ლოგიებისა“ თუ „მცოდნეობების“ გამოყოფა, რომელთა შორისაც აღმოჩნდა „ქორეოლოგიაც“. ნათქვამია რომ უფრო თვალსაჩინო იყოს, იგი ასეთი სქემის სახითაც კი შეიძლება წარმოვიდგინოთ:



აქ მოტანილი აღნიშნული სქემა, ბუნებრივია, საკმაოდ ზედაპირულია, მარტივია და გარკვეული აზრით მოძველებულიც კია, რადგან დღის წესრიგში უკვე სხვა რეალობა დგას. ვერაინ იტყვის და ვერც დაასაბუთებს, რომ მეცნიერული აზრის დიფერენციაციის პროცესი სადღეისოდ დასრულებულია და აღნიშნულ ჩამონათვალს სამომავლოდ ახალი დარგები არ დაემატება. ამის მტკიცება, თუნდაც იმის გამო არ შეიძლება, რომ სახეზე გვაქვს ტენდენციად ქცეული განვითარების პროცესი და ყოველდღიური სოციალური პროგრესი, რომელიც, ვინ იცის, რა სიურპრიზებს გვიზადებს.

მეცნიერულ-ფილოსოფიური აზროვნების დიფერენცირების პროცესი, რომლის შესახებ ჩვენ აქ ვსაუბრობთ, ვისიმე ახირებისა თუ მონადინების შედეგი არ ყოფილა, ეს არის იმ ლოგიკური აუცილებლობით განსაზღვრული მოვლენა, რომელიც თვით მეცნიერების ბუნებაშია ჩადებული და რომლის ძალითაც ფილოსოფიის, როგორც მსოფლმხედველობის არედან უმალ გამოიყოფა ახალი ტიპის მეცნიერება, როგორც კი მისი მიმდევარ-მესვეურები აღმოაჩენენ, რომ არსებობს სპეციფიკური რაღაც საგანი, ობიექტი ან პრაქტიკის სფერო, რომელიც ყველა მხარეს, კუთხე-კუნჭულს ფუძე-მსოფლმხედველობა ანუ ფილოსოფია ვერ ნვდება და არც უნდა ნვდებოდეს, რად-

გან შესასწავლი მოვლენა მისი კვლევის საზღვრებს მიღმა მდებარეობს.

ქორეოლოგია სწორედ ასეთთა შორისაა. იგი, როგორც კერძო მეცნიერება, არ არის მსოფლმხედველობა (ასეთი მხოლოდ ფილოსოფიაა!), მაგრამ უდიდეს როლს თამაშობს ადამიანის ცხოვრებაში, რაკი მას ასწავლის, აძლევს ცოდნას და ხელს უწყობს სულიერ-ესთეტიკური კათარზისის პროცესს. ცხადია, ქორეოლოგია და მისი შესწავლის უშუალო ობიექტი მთელი ქორეოკულტურა ამას ვერ გააკეთებს, თუ კი მან კარგად არ იცის ვინ ან რა არის, საზოგადოდ, ადამიანი, ვინ არის პიროვნება, რა მოთხოვნილებები თუ ინტერესები აქვს მის ქმედებებს და რას ნიშნავს ესთეტიკური განვითარება, რა პრინციპით მოქმედებს „სილამაზის კანონები“ და საერთოდ, რა როლის შესრულება შეუძლია ადამიანის ცხოვრებაში ხელოვნების სამყაროს.

დაკვირვებული მკითხველი უთუოდ დაგვეთანხმება, რომ ხელოვნებაში, ჩვენს შემთხვევაში ცეკვის სფეროში ადამიანის საქმიანობა, ეს ნმინდა წყლის ემპირიული პროცესია და არა თეორიული მოღვაწეობა. ქორეოლოგია სწორედ ამგვარი ანუ ემპირიული საქმიანობის შესახებ შექმნილი თეორიაა და ამითაა იგი მეცნიერება. ამ უკანასკნელს, ბუნებრივია, არც ძალა ეყოფა და არც საშუალებები დააფიქსიროს, გაანალიზოს ყველა ის ფაქტი,

ლოგიკა. იგი ამ თვალსაზრისით არა მარტო ცოდნას გვაძლევს, არამედ ადგენს სპეციფიკური მეთოდების ჩამონათვალს, რომელთა მეშვეობითაც საჭირო ცოდნის მოპოვება შესაძლებელია.

მეცნიერული აზრის განვითარებისა და ფაქტოლოგიური ცოდნის დაგროვების გარკვეული ეტაპიდან, პარალელურ რეჟიმში, ხელოვნების პრობლემათმცოდნეობის შესწავლას საკუთარ თავზე იღებს ხელოვნებათმცოდნეობა. იგი აკონკრეტებს მიმართულებებს, შემოფარგლავს არეალს, ამუშავებს მეთოდოლოგიურ ბაზას, განსაზღვრავს ორიენტირებს და ამით ალაგებს თავისი ინტერესის სფეროდ მიჩნეულ სივრცეს.

გადის გარკვეული დრო და ცხადი ხდება, რომ არც ხელოვნებათმცოდნეობას შეუძლია ჩანვდეს შემოქმედებითი პროცესების უკიდევანო სივრცეში მიმდინარე მოვლენებს, მის ყველა კონკრეტულ გამოვლინებას და განვითარების შესაძლო ტენდენციების ბუნებას. ამის გამო ასპარეზზე კვლავ ნაცნობი პროცესი გამოდის, იწყება სახელოვნებათმცოდნეო თეორიული სივრცის დიფერენცირება და მისგან ცოდნის ცალკეული ქვედარგებისა თუ მიმართულებების გამოყოფა.

ჩვენს წინაშე დამსულ ამოცანებთან მიმართებაშიც საქმე ანალოგიურ პროცესთან გვაქვს, რადგან სწორედ ხელოვნებათმცოდნეობის დიფერენცირება წარმოშობს ქორეოლოგიის ვრცელ სამეფოს, რომლის სალაროდანაც უნდა აიღოს დაინტერესებულმა პირმა ცოდნის შესახებ, თუ რა არის ცეკვა, როგორ წარმოიშვა იგი, როგორ ვითარდებოდა, როგორია მისი თეორიულ-კატეგორიული ბაზა და რას წარმოადგენს სადღეისოდ.

როდესაც ხელოვნებათმცოდნეობის მეცნიერებაზე ვსაუბრობთ და მისი წიაღიდან ქორეოლოგიური პროფილის ცოდნის გამო დიფერენცირების საკითხებს ვეხებით, ანგარიში უნდა გავუწიოთ ერთ მნიშვნელოვან მომენტს.

გავრცელებული ისტორიული ტრადიციის გავლენით ჩვენში დამკვიდრებულია ცნება „ხელოვნებათმცოდნეობის“ ორგვარი გაგება. პირველი – ეს ცნება ფარავს სახვითი ხელოვნების (ფერწერა, გრაფიკა, ქანდაკება) ასევე არქიტექტურისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების შესახებ წარმოდგენებს. სწორედ ასე ესმოდათ ზემოაღნიშნული ცნება – ტერმინის შინაარსი უკანასკნელ დრომდე და ბევრი სპეციალისტი ახლაც ასე ფიქრობს. საგულისხმოა, რომ ბოლო დროს ფეხს იკიდებს ცნების უფრო ზოგადი გაგება, რომლის მიხედვითაც „ხელოვნებათმცოდნეობა“-ა ყოველგვარი ცოდნა, რომელიც ხელოვნების ნებისმიერი დარგის შესახებ ადამიანებს, უპირველესად კი სპეციალისტებს დაუგროვდათ. ამგვარი შინაარსით ჩვენთვის საინტერესო ცნების განხილვას, ცხადია, შეცდომად ვერ მივიჩნევთ, მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ხელოვნების ყველა დარგის ცოდნა, მისი გარეგანდამწვდომი თეორიის ჩამოყალიბება ბევრად მეტ სირთულეებთან არის დაკავშირებული, ვიდრე ცალკეულ „მცოდნეობებში“ ჩალრმა-

5 83

ვება და მისი სხვადასხვა ასპექტის კვლევა. ერთადერთი გამართლება ასეთად წარმოდგენილ „ხელოვნებათმცოდნეობას“ ექნება მაშინ, თუ კი იგი ზოგადმეთოდოლოგიურ პოზიციაში ჩადგება ხელოვნების სხვა დარგებთან მიმართულებაში და სწორედ აქედან იზრუნებს მათი მსოფლმხედველობრივი ორიენტაციების ჩამოსაყალიბებლად.

აქვე შევნიშნავთ, რომ ჩვენთვის საინტერესო „ქორეოლოგია“ თვისებრივად ყველაზე ახლოს მანც თეატრმცოდნეობასთან არის და გარკვეულ დრომდე იგი ამ უკანასკნელის შემადგენელ ნაწილადაც კი განიხილებოდა.

მიგვაჩნია, რომ გარკვეულ ეტაპზე „ქორეოლოგიაში“ სწორ მიზნობრივ განსაზღვრულობას მიაღწია, იშვიათად თვისი კვლევის საგანი, ობიექტი, მიზან-ამოცანები და მათი შესატყვისი მეთოდოლოგიურ-მეთოდური ბაზა. ამით იგი საბოლოოდ ჩამოყალიბდა დამოუკიდებელ სამეცნიერო დისციპლინად.

ამრიგად, თუ მოვიხილოთ ერთგვარად შევავალოთ ყველაფერი ის, რაც ზემოთ ითქვა, შეიძლება ასეთ დასკვნებამდე მივიდეთ:

1. რაკი მეცნიერების ყველა დარგს თავისი დამოუკიდებელი კვლევის საგანი გააჩნია და მას არც ერთი სხვა მეცნიერება არ სწავლობს, ცხადია, ქორეოლოგიას, თუ იგი მეცნიერებაა (თუნდაც ემპირიული მეცნიერება) აუცილებლად უნდა ჰქონდეს თავისი განკერძოებული, სპეციფიკური კვლევის საგანი. ასეთ საგნად ქორეოლოგიისთვის მიჩნეულია ცეკვა და შესაბამისად, ლოგიკური იქნებოდა

გვეთქვა: „ქორეოლოგია არის მეცნიერება ცეკვის შესახებ“. დეფინიცია თავისი ლაკონური ფორმით, მასში მიმართების ობიექტის მეტ-ნაკლები სისრულით გამოკვეთითა და მოქმედების არეალის შემოსაზღვრით, თითქოსდა არანაირ შეპასუხება-დაზუსტებას აღარ საჭიროებს, თუმცა ზოგი რამ მაინც გასათვალისწინებელი და ანგარიშგასანვივა. კერძოდ, არ უნდა გამოგვეპაროს, რომ ცეკვა მხოლოდ ადამიანური საქმიანობის სფეროა, ამიტომ როდესაც ცეკვის შესახებ ვსაუბრობთ, იქ აუცილებლად ადამიანის, როგორც ბიო-სოციალური, მორალური და ესთეტიკურ-შემოქმედებითი საწყისის მატარებელი არსების შესახებ მახასიათებლებზე, უნდა გადავიტანოთ გარკვეული ყურადღება. ეს ცოდნა კი სოციოლოგიაში შემოქმედებითი საქმიანობის ფსიქოლოგიაში და ესთეტიკის მეცნიერებაშია საძიებელი.

მეორეც, არ არის საკამათო, რომ ცეკვა თავის უმთავრეს გამოვლინებებში მაინც, ხელოვნების სფეროა (არახელოვნებითი ცეკვაც არსებობს!) და როდესაც მისი, ანუ ცეკვის, შესახებ ვმსჯელობთ, ხელოვნების ზოგადი კანონზომიერებებიც უნდა გავითვალისწინოთ და ეს ცოდნაც ხელოვნებათმცოდნეობიდან უნდა ავიღოთ. თუ კიდევ უფრო თანმიმდევრულნი ვიქნებით, საჭირო გახდება გამოიყოს კიდევ ერთი ასპექტიც. კერძოდ, ცეკვა, როგორც პიროვნების ფორმირების, მისი ჰარმონიულ-განმავითარებელი ფუნქციითაც უნდა განვიხილოთ. ამ ტიპის ცოდნა კი პედაგოგიკაში, კერძოდ, კრეატიულ-პედაგოგიკურ აზ-

როვნებაში უნდა მოვიძიოთ.

2. სრულიად აშკარაა, რომ „ქორეოლოგია“, გარკვეული აზრით, ესაა კომპლექსური ხასიათის სამეცნიერო დისციპლინა, რომელიც შესასწავლი ობიექტის მიმართ „ისტორია-მეცნიერების“ პოზიციაში იმყოფება. რაც შეეხება ისტორია ფაქტს, „ანუ საკუთრივ ცეკვას“, იგი, ბუნებრივია, წინ უსწრებს მის შემსწავლელ მეცნიერების დარგს და განვითარების შინაგანი ლოგიკის კვალობაზე უკვე მიღწეული მონაცემებითა და ნოვაციების შეთავაზებით სააზროვნო სივრცეს უსაზღვრავს, ან კიდევ უმზადებს მას. ამრიგად, ცეკვის თეორია განვითარებას იწყებს მას შემდეგ, როდესაც პრაქტიკა დააგროვებს საკმარისი ოდენობით ფაქტებს და საჭირო ხდება მისი თეორიული განზოგადება.

საგულისხმოა, რომ პირველად ევროპულ სააზროვნო სივრცეში, ცეკვის ანუ „ქორეას“ აღწერა ძველ საბერძნეთში განხორციელდა. ეს, ბუნებრივია, იმას არ ნიშნავს, რომ მანამდე არავინ ცეკვავდა და იგი „ფაქტის“ სახით არ არსებობდა. ამიტომ, აქ საუბარი მხოლოდ იმაზეა, რომ სწორედ ძველი საბერძნეთიდან იღებს სათავეს ქორეოლოგიური პროფილის ცოდნის დაგროვებაზე მიმართული საქმიანობა, რამაც მოგვიანებით ის შედეგები მოიტანა, რომელიც სადღეისოდ გვაქვს სახეზე.

3. ჩვენი წინათქმის დასაწყისში გაკვრით შევეხეთ საკითხს იმის თაობაზე, რომ ჩვენში ქართველ პრაქტიკოსებს საკუთარ ენაზე შექმნილი ქორეოლოგიური პროფილის ლიტერატურაზე,

ფაქტობრივად, ხელი არ მიუწვდებოდა, ამის მიზეზი ისიცაა, რომ ამ ტიპის გამოკვლევების შექმნის ტრადიცია არ გვაქვს. შედარებით უკეთესი სიტუაციაა, როგორც უკვე ითქვა, საცეკვაო ხელოვნების ისტორიული საკითხების გააზრების სფეროში, თუმცა სამუშაო აქაც ბევრია, რადგან ძირითადი აქცენტი აქამდე ქორეოფაქტების მოგვარება-კლასიფიკაციისაკენ იყო მიმართული. მათი თეორიული განზოგადება კი მომავლის საქმეა.

რაც შეეხება ე.წ. ქორეოკრიტიკას – არც ამ მიმართულებით გვაქვს თავმოსანონებლად საქმე. სამწუხაროდ, კრიტიკა, საერთოდ, უმადური საქმეა და ამის გამოც, მისი ომახიანი ხმა ხელოვნების იმ სფეროშიც აღარ ისმის, სადაც მას გარკვეული ტრადიციები გააჩნდა. ასეთი იყო, მაგალითად, ლიტერატურული და თეატრალური კრიტიკა.

ქორეოკრიტიკას ჩვენში ამგვარი ტრადიციები არასოდეს შეუქმნია. ცხადია, უამიდან უამზე კრიტიკული წერილები იბეჭდებოდა, მაგრამ ამგვარ, თითო-ოროლა სპეციალისტის მიერ გამოთქმულ მოსაზრებას გზაგამკვალავის მალალ ფუნქციასა თუ მიზანს ვერავინ დააკისრებს. მით უფრო ძნელია ამგვარი მისიის შესრულება მაშინ, როდესაც თვით ქორეოლოგიური ცოდნის სალარო ღარიბია და თეორიული თვალსაზრისით ბევრი რამ მოსაძიებელ-გასაკეთებელია.

ილია ალავიძე
პროფესორი

ნათლისღება – განსხვავება ყფლისა ღვთისა და მასხოპრისა ჩვენისა იესო ქრისტესი


6 იანვარს (ახალი სტილით 19 იანვარს) ვდღესასწაულობთ ნათლისღებას უფლისა ღვთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი – განცხადებას. იგი თორმეტ უდიდეს საუფლო ქრისტიანულ დღესასწაულთა რიცხვში შედის.

ნათლისღება ყველასათვის საჭიროა, რადგან ყველა ადამიანი ცოდვით იბადება და შემდგომაც ცოდვიან ცხოვრებას მისდევს. როგორც წმ. დავით წინასწარმეტყველიც აცხადებს ორმოცდამეათე ფსალმუნში: „უსჯულოებათა შინა მიუდგა და ცოდვათა შინა მშვა მე დედამან ჩემმან“. აი, ამიტომაც აუცილებელი უფლის მიერ დაწესებული წმ. ნათლისღების საიდუმლოს აღსრულება ყრმების, ჩვილი ბავშვების მიმართაც. ყოვლად გაუმართლებელია ნათლობის გადავადება, რადგან არავინ არ იცის, ვის სულს რომელ დღეს წაიყვანს ღმერთი ამ წუთისოფლიდან: როგორც წმინდა პავლე მოციქულიც შეგვახსენებს, ჩვენ ყოველდღე ვკვდებით! ამიტომ ნებისმიერი ჩვენგანისათვის ყოველი მოცემული დღე, შესაძლოა, უკანასკნელი აღმოჩნდეს.

ცოდვათაგან შენდობასა და განწმენდას ვერავინ ვერ მიიღებს ნათლობის ანუ სხვაგვარად „სულისა და წყლისაგან შობის“ ანუ „მეორედ შობის“ გარეშე. სწორედ ამიტომ მოგვიწოდებს პირდაპირ და არაორაზროვნად უფალი ნათლობისაკენ: ვინც ირწმუნებს და მოინათლება, გადარჩება; ხოლო ვინც არ ირწმუნებს, მსჯავრდადებული იქნე-

ბა (მარკოზი 16,16); ვინც ხელახლა არ იშობა, ვერ იხილავს ღვთის სასუფეველს (იოანე 3,3); ვინც წყლისა და სულისაგან არ იშვება, ვერ შევა ღვთის სასუფეველში (იოანე 3,5).

სულის ცხოვნებისათვის ნათლისღების აუცილებლობას შეგვაგონებენ ღვთის რჩეული მოციქულები: ადექი, მოინათლე, ჩამოირეცხე შენი ცოდ-



ვები და მოუხმე უფლის სახელს (საქმ. მოც. 22,16); წმ. პეტრე მოციქული მოგვმართავს მორწმუნეებს: შეინანეთ

და ნათელილეთ ყოველმა კაცმა ცოდვათა მოსატყვევებლად, ხოლო წმ. პავლე გვიჩვენებს, განვიბანოთ, განვიწმიდოთ და გავმართლდეთ ნათლისღების წყალობით.

ღვთის განცხადება ამ დღესასწაულს იმიტომ ეწოდება, რომ ჩვენი უფლისა და მაცხოვრის იესო ქრისტეს ნათლისღების დროს ქვეყნიერებას

სახით, როგორც მტრედი და გაისმა ზეცით ხმა: შენ ხარ ჩემი საყვარელი ძე, რომელიც მე მოვიწონე; შენ ხარ ჩემი საყვარელი, შენ სათნო-გიყავ“ (ლუკა 3,22). უძველესი დროიდანვე ეს დღესასწაული „განათლების დღე“ და „ნათელთა ზეიმად“ იწოდება, რადგან ღმერთი აქვშმარიტინათელი, რომელიც იმისთვის მოვიდა ქვეყნად, რომ თავისი დიდი მონყალებით ჯოჯოხეთის წყვიდასიგან, მარადიული სატანჯველის, შეჩვენების, ცოდვების, სიკვდილისა და სატანისაგან ეხსნა ხალხი, ადამის ცოდვით დაცემული მოდგმა, რომელიც ბნელში იჯდა (მათე 4,16) წმ. იოანე დამასკელის თქმით, უფალმა იმიტომ კი არ იღო ნათელი, რომ უცოდველი ცოდვათაგან განწმენდას საჭიროებდა, არამედ იმიტომ, რომ წყლით წარეხცა კაცთა ცოდვები, აღსრულებინა რჯული, განეცხადებინა წმ. სამების საიდუმლო, „წყლის ბუნება“ გაენათლებინა, მსოფლიო წყლები განწმინდა და ბოლოს, წმ. ნათლისღების სახე და ნიშნი იჩვენებინა.

ნათლისღებით უფალმა აკურთხა ნათლისღება, როგორც ერთგვარი კარი ზეციურ სამოთხეში შესასვლელად (ვინც წყლისა და სულისაგან არ იშვება, ვერ შევა სასუფეველში (იოანე 3,5), ხოლო მკვდრეთით აღდგომის შემდეგ დაანესა იგი როგორც წმ. საიდუმლო ცოდვათა მისატყვევებლად, განსაწმენდელად და გასამართლებლად.

ცოცხალი წყალი

(ანუ წყალს შეუძლია მიიღოს, დაიმასხოვროს და გადასცეს ინფორმაცია)



უბრალო წყლის კრისტალი ლოცვამდე

პირველად მეცნიერებაში ტერმინი „ცოცხალი წყალი“ 1920 წლიდან გაჩნდა, როდესაც ავსტრიელმა ინჟინერ-ჰიდროლოგმა ვიქტორ შაუბერგერმა აღმოაჩინა, რომ ბუნებრივ მდგომარეობაში წყალს აქვს გარკვეული ვიტალური ძალა. მიღებში გავლისას წყალი კარგავს თავისი ელექტრონების ნაწილს, რის გამოც მისი მოლეკულების გეომეტრიული სტრუქტურა ირღვევა. თუ გამოვიკვლევთ წყაროს წყალს, მაშინ შევნიშნავთ ფიფქის მსგავს ექსკუთხოვან სტრუქტურებს. დაახლოებით ამგვარი სტრუქტურა შეინიშნება ახალშობილი ბავშვის უჯრედშირის სითხეში, მაგრამ დროთა განმავლობაში რადიაციის და სხვა დამაბინძურებელი ფაქტორების შედეგად ეს სტრუქტურა ირღვევა; იწყება სხვადასხვა სახის დაავადებები, დაბერება (თავდაპირველად ჯერ უჯრედულ დონეზე) და ა.შ. შაუბერგერმა დაამუშავა ახლებური მიდგომა წყლის შესაფასებლად, და როგორც ეკოლოგმა შეძლო კიდევ გარკვეული პრაქტიკული სარგებლის მიღება. სამწუხაროდ, ზენოლისა და კრიტიკის შედეგად შაუბერგერი თანდათან გაუჩინარდა მეცნიერული სპექტრიდან. სულ რამდენიმე წლის წინ დიდი მეცნიერის შრომებმა დამსახურებული აღიარება მოიპოვეს. წყლის შესწავლა ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში დაიწყო.

თანამედროვე მეცნიერებაში წყლის მკვლევართა შორის ერთ-ერთი სახელგანთქმული და ავტორიტეტული მკვლევარი, რუსი მეცნიერი სტანისლავ ზენინი (რუსეთის ჯანდაცვის სამინისტროს ლაბორატორიის ხელმძღვანელი) თვლის, რომ წყალს აქვს უნიკალური თვისებები, რომლებიც განპირობებულია ე.წ. „ინფორმაციულ-ფაზურ მდგომარეობაში“ სტრუქტურული მესსიერების გამოვლენის ფენომენით. წყალს შეუძლია მიიღოს, დაიმასხოვროს და გადასცეს ინფორმაცია ელექტრომაგნიტური რხევების შედეგად. რუსმა მეცნიერმა წყლის გამოკვლევა დაიწყო ჯერ კიდევ 1995 წლიდან. ზენინის გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ წყალი შედგება კლასტერული უჯრედებისგან, რომლებიც მინიატურულ ბიოკომპიუტერებს წარმოადგენენ. ადამიანი 70% წყლისგან შედგება, აქედან გამომდინარე მასზე დიდ ზემოქმედებას ახდენენ გარეფაქტორები, მაგ. ქიმიური, ელექტრომაგნიტური, მექანიკური და ა.შ. წყლის მოლეკულები ზემოქმედების შედეგად „გადაეწყვიან“ და იცვლიან თავიანთ გეომეტრიულ ნიშნებს. აღსანიშნავია, რომ ზემოქმედებას ახდენს ადამიანთა ურთიერთობაც. ზემოქმედების შედეგად იცვლება აგრეთვე დნმ-ს მოლეკულა, რომელიც, შესაძლოა, სრულიად განადგურდეს.

სენსაცია მოახდინა ნაკურთხი წყლის გამოკვლევის შედეგებმა. მრავალრიცხოვანმა გამოკვლევებმა დაადასტურეს, რომ ნაკურთხი წყალი მართლაც, დიდხანს არ „ფუჭდება“ და მას შეუძლია

მეცნიერება მეტ-ნაკლები დამაჯერებლობით ცდილობს ახსნას სამყაროში მომხდარი თუ არსებული პარადოქსები და სასწაულები. მეცნიერების სწრაფმა განვითარებამ XX ს.-ში საშუალება მოგვცა ადამიანური წარმოსახვის დონეზე ჩვენდომოდით ბიბლიურ მტკიცებულებებს. XX ს.-ის კაცობრიობამ დაიწყო კოლოსალური მნიშვნელობის აღმოჩენათა სერია: მეცნიერებამ დაამტკიცა სამყაროს წარმოშობის ბიბლიური ვერსია „დიდი აფეთქების თეორიის“ სახით; მოხდა ქრისტეს კვართის ე.წ. ტურინის სუდარის აუტენტიფიკაცია და ა.შ. მიუხედავად ამისა, მეცნიერება ვერ ხსნიდა ქრისტეს ერთ-ერთი სასწაულის – წყალზე სიარულის ფენომენს.

რამდენიმე წლის წინ თანამედროვე მეცნიერება დაინტერესდა წყლით და დაიწყო მისი გამოკვლევა უახლესი ტექნოლოგიებით. ამ გამოკვლევებმა, რომლებიც პარალელურად რამდენიმე ქვეყანაში ტარდება, საოცარი შედეგები გვიჩვენეს...

მიუხედავად იმისა, რომ მკვდარი ზღვის წყალი ძალიან მარლიანია და სიმჭიდროვე ყველა სხვა წყალზე მაღალი აქვს (1,3-1,4 გ/სმ³) მასზე სიარული მაინც შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, სულ ბოლო დრომდე მეცნიერულად არ დასტურდებოდა ამგვარი ფენომენის შესაძლებლობა ფიზიკურად. როგორც გაირკვა, მეცნიერებამ XXI ს-მდე მწირი ინფორმაცია გააჩნდა წყალზე. ეს სუბსტანცია ძალზედ იდუმალი და ცვალებადი აღმოჩნდა. უფრო მეტიც, შეიძლება ითქვას, რომ ის ცოცხალია!

მრავალი დაავადების განკურნება; ურთულესი დაავადებები კი იკურნება განსაკუთრებულად ნაკურთხი წყლით (трехводнивая вода) შემდეგი მეთოდით: წყალს აკურთხებენ სამ მართლმადიდებლურ ეკლესიაში, რომელთა ზარის ხმაც არ უნდა სწვდებოდეს ერთმანეთს. მღვდლებს ან ბერებს წყალი მღუმარედ მოაქვთ და შემდეგ აერთებენ. ასეთ წყალს საოცარი აღმდგენი თვისებები გააჩნია! პროფესორ პავლე გოსკოვის ლაბორატორიაში ჩაატარეს საინტერესო ექსპერიმენტი: ნაკურთხი წყალი გაურიეს ჩვეულებრივ წყალში, რომელიც სხვადასხვა ზომის ჭურჭელში იყო მოთავსებული. მიუხედავად იმისა, რომ თანაფარდობა იყო უმნიშვნელო (დაახლ. 10 გ/60ლ.) შემდგომმა ანალიზმა ცხადყო, რომ უბრალო წყალი



მუსიკის მოსმენისას

მთლიანად გარდაიქცა ნაკურთხ წყლად, როგორც სტრუქტურულად, ისე ბიოლოგიური თვისებებით.

გამოკვლევათა შედეგები განსაკუთრებულად თვალსაჩინოდ წარმოჩინეს იაპონელმა მეცნიერებმა მასარუ ემოტოს (იოკოჰამის უნივერსიტეტის პროფესორი, მეცნიერებათა დოქტორი მედიცინაში) ხელმძღვანელობით. დოქტორმა ემოტომ ჩაატარა ძვირადღირებული ექსპერიმენტები; მან გააჩინა წყლის წვეთი -5°C და მიკროსკოპით დააკვირდა წარმოქმნილ კრისტალებს, შემდეგ კი მიკროსკოპში ჩამოტყუებული ციფრული ფოტოკამერით გადაიღო, გააჩინა, სურათები გადაუღო და ერთმანეთს შეადარა. დადგინდა, რომ წყლის მოლეკულურ სტრუქტურას ცვლის ადამიანის ენერჯია, ფიქრები, ხმები...

ეს ცვლილებები თვალსაჩინოდ შეინიშნება ხმოვანი ზემოქმედებისას. საგალობლების, კლასიკური და ხალხური მუსიკის ბგერები წყლის კრისტალს საოცრად ლამაზ გეომეტრიულ ფორმებს აძლევენ. კრისტალი

ძლიერ მახინჯდება მძიმე მეტალის, როკის და სხვა თანამედროვე მუსიკის ზემოქმედებისას. როგორც ჩანს, იგივე ზემოქმედებას განიცდის ადამიანის ორგანიზმიც, რომელიც უმთავრესად წყლისგან შედგება!

სამართლიანობისთვის უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად გამოთქმა „ცოცხალი წყალი“ მოხსენიებული იყო არა ზემოთაღნიშნული ავსტრიელი მეცნიერის ნაშრომებში, არამედ ბიბლიაში, რომელიც ორიათასი წლის წინ დაიწერა! იოანეს სახარებაში აღწერილია შემთხვევა, როდესაც მაცხოვარმა წყალი სთხოვა სამარიელ ქალს, მან კი გაიკვირვა, რადგან სამარიელები და იუდეველები ერთმანეთთან არ ურთიერთობდნენ. ქრისტემ მიუგო მას: „შენ რომ იცოდე ღვთიური ნიჭი და ის, თუ ვინ გეუბნება, წყალი დამალევიწყო, მაშინ შენ თვითონ სთხოვდი მას და ისიც მოგცემდა ცოცხალ წყალს“ (იოან. 4.10). შემდეგ ქრისტე განმარტავს: „...ხოლო ვინც დაღვეს წყლიდან, რომელსაც მე მივცემ მას, საუკუნოდ არ მოსწყურდება; რადგან წყალი, რომელსაც მე მივცემ, მასში გადაიქცევა წყლის წყაროდ, რომელიც საუკუნო სიცოცხლედ იდინებს“. (იოან. 4.14). სახარებისეული ეს სიტყვები ჩვეულებრივ განიმარტება, როგორც საუბარი რწმენაზე. თუმცა, ვინ იცის... მაცხოვარი ყოვლისშემძლეა და შეუძლია წყლით განკურნება. არამარტო წყლით, არამედ, საერთოდ სითხით. გავისხენოთ შემთხვევა, როდესაც ქრისტემ განკურნა ბრმა: ქრისტემ „...მინაზე დააფურთხა, ფურთხით ტალახი მოზილა და თვალზე წაუსვა ბრმას, უთხრა „ნადი და დაიბანე სილოამის აუზში“. ნავიდა, მოიბანა და მოვიდა თვალახელილი“. (იოან. 9,6-7). მეცნიერებისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო აგრეთვე წყალზე სიარულის სასწაულის ახსნა. სახარებაში აღწერილია მომენტი, როდესაც ქრისტე და მონაფეხები ზღვაში ნავით მიცურავდნენ. უცაბედად, გრივადი ამოვარდა. მონაფეხები პანიკაში ჩავარდნენ და მაცხოვარი გააღვიძეს. ქრისტე „წამოდგა და შერისხა ქარი და უთხრა ზღვას: „დადუმდი, ჩადექ!“ (მარკ. 4.38-39). სხვა შემთხვევაში ქრისტე ხმელეთზე იყო, ხოლო მონაფეხები ნავით ზღვაში გავიდნენ. ამ დროს ამოვარდა ღელვა. „...მოვიდა მათთან იესო პირდაპირ ზღვაზე სვლით. მონაფეხებმა ზღვაზე მავალი რომ დაინახეს, შეძრწუნდნენ და



იგივე წყლის კრისტალი ლოცვის შემდეგ

თქვეს: ეს მოჩვენებააო, და შიშისაგან შეჰყვირეს“ (მათ. 14.24-26). წყალი ისევ დამშვიდდა. დაახლოებით იგივე მოვლენა იყო, როდესაც მოსემ ზღვა ორად გაჰყო. ებრაელებმა ფსკერზე მშვიდობით გაიარეს, ხოლო ეგვიპტელები წყალმა შთანთქა (გამოს. 14.21,26).

მეცნიერებმა დაადგინეს, რომ სულიერი ძალა რეალურად მართავს წყალს; ანესრიგებს და „ამშვიდებს“ მას.

ჩნდება კითხვა, შეიძლება თუ არა სრულიად განწმენდილი წყლის მიღება? როგორც გაირკვა, არა! არც ბუნებაში არ არსებობს იდეალურად წმინდა წყალი. აბსოლუტურად წმინდა წყალს, მეცნიერთა აზრით, ისეთი თვისებები ექნებოდა, რომ წარმოსახვაც კი გაგვიჭირდებოდა. პროფესორ პავლე გოსკოვის ლაბორატორიაში უდიდესი შრომის ფასად მიიღეს წმინდა წყალი – მომცრო, სულ რაღაც 2,5 სმ დიამეტრის კოლბაში. შედეგმა ყველა გააოცა. მოლეკულათა შეჭიდების ძალა იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ მის გასახლეჩად მეცნიერებს დასჭირდა 900 კგ. ძალის გამოყენება! ასეთი წყლის ტბაზე ან ზღვაზე არა თუ ადამიანი, ტანკიც კი თავისუფლად გადავიდოდა. ციფრებით სრიალიც კი იქნებოდა შესაძლებელი! მაცხოვარი თავისი სულიერი ძალით განწმენდა და ამშვიდებდა ყოველგვარ სითხეს. ქრისტეს მიერ განწმენდილ წყალს, კი ადამიანთა მიერ განწმენდილი წყალი ვერ შეედრება, უდაოდ.

როგორც მეცნიერები გვიჩვენებენ, ყოველთვის უნდა ვეცადოთ მივიღოთ ცოცხალი წყალი, რომელსაც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, განკურნების დიდი ძალა აქვს. უნდა გვახსოვდეს, რომ ადამიანზედამანგრეველ ზეგავლენასახდენს საშინელებების, მკვლევლობების და სხვა უამრავი ძალადობის სცენები, რომლებსაც ყოველდღე უხვად ვუყურებთ ტელევიზიით. ნეგატიური ენერჯიისგან წყალი ბუნებრივად იწმინდება აორთქლებით და კონდენსირებით, ან გაყინვით და გალღობით. განსაკუთრებით უნდა ვეშურებოდეთ ნაკურთხ წყალს. წყლის სტრუქტურაზე ჩვენც შეგვიძლია ვიმოქმედოთ საგალობლებით და ლოცვით, კეთილი სურვილებით და ა.შ. შეგვიძლია



ნაკურთხი წყლის კრისტალი

ჭურჭელს ლოცვა მივანეროთ ან ნაბეჭდი მივაკრათ. საკვების მიღების წინ კი აუცილებლად გარდავსახოთ ჯვარი და ვილოცოთ.

როგორც წმ. იოანე ოქროპირი ამბობს: „დიდ არს ძალა ლოცვისა“. ამინ.

გიორგი ძოწენიძის გახსენება



ნოდებით. გ. ძოწენიძე 1962 წელს მეულესთან ერთად მონაწილეობდა I რესპუბლიკურ ინდივიდუალურ შემსრულებელთა კონკურსში, სადაც წველი დაჯილდოვდა ოქროს მედლითა და ლაურეატის ნოდებით. ასევე აღნიშნულ კონკურსზე გ. ძოწენიძემ, თავის ალბრდილ ჯეირან გოგინავასთან ერთად, პირველად საქართველოში, დოლებით ვირტუოზულად შეასრულა ცეკვა „ყაზბეგური“, რისთვისაც დაჯილდოვდნენ ლაურეატის ნოდებით.

1962-70წწ. გ. ძოწენიძე საქართველოს სხვადასხვა ქალაქში აყალიბებს ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლებს და აღწევს დიდ წარმატებებს.

გ. ძოწენიძეს არაერთი ცეკვა აქვს დადგმული ქ. ქუთაისის ლ. მესხიშვილის სახელობის დრამატულ თეატრში, ასევე ოპერისა და ბალეტის თეატრში და სხვა თეატრებში.

ბატონმა გიორგი ძოწენიძემ უდიდესი ღვაწლი შეიტანა ქ. ქუთაისის სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლის ჩამოყალიბებაში, მის შემდგომ წინსვლასა და წარმატებაში.

ანსამბლში მისი მოღვაწეობის პერიოდი იყო ქორეოგრაფიული საქმიანობის წარმატებული მაგალითი, როგორც შეუდარებელი მოცეკვავისა და მუსიკოსისა. მისი ნიჭისა და უნარის შესახებ არაერთხელ აღუნიშნავთ ისეთ დიდ პიროვნებებს, როგორებიც იყვნენ ბატონები: ილიკო სუხიშვილი, ჯანო ბაგრატიონი, მურმან ლომთათიძე, ბუხუტი დარახველიძე, დავით უშვერიძე და სხვები.

გ. ძოწენიძემ 1999 წელს ჩამოაყალიბა ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლი „გიორგობა“, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი და მთავარი ქორეოგრაფი იყო გარდაცვალების დღემდე.

ბატონი გ. ძოწენიძე დაჯილდოვებული იყო ღირსებისა და ქორეოგრაფიის ამბადარის ორდენით, იყო ღვანდომოსილი „ქუთაისელის“ ტიტულის მფლობელი, საქართველოს საპატრიარქოს ჩოხოსანთა საზოგადოების ღირსეული უხუცესი წევრი.

რეზო ჭანიშვილი, ფრიდონ სულაბერიძე, ომარ მხეიძე, იამზე დოლაბერიძე, ნინო კირვალიძე, რევაზ ჭოხონელიძე, თენგიზ უთმელიძე, ოლეგ ალავეიძე, უჩა დვალისვილი, იური ტორაძე, ნუგზარ ჯიქური, დავით წულუკიძე, ზაურ ლაზიშვილი, ჯეირან გოგინავა, ომარ ხუბავეი, ჰამლეტ კობეშვიძე, თემურ ლანჩავა, თემურ ბიბილიშვილი, ლევან როხვაძე, ნინო ტურიშვილი, ჯემალ რეხვიამიძე, ნუნუ ლენერია, თენგიზ სუხაშვილი, ანგული ქავთარაძე, თემურ ჩხაიძე, ანზორ გვარამაძე, ბორის (ჩაქუ) საგაია, გოგი ჩაჩავა, ჯუმბერ დუნდუა, ჯამუ გარუჩავა, გელოდი ფოცხიშვილი, მურმან გამისონია, ჯემალ ჩიჩუა, თამაზ კიკალიშვილი, თამაზ მოსია, ენვერ გუჯაბიძე, ავთანდილ ლომთათიძე, კონსტანტინე ნიქაძე, ალექო ქართველიშვილი, მალხაზ ცისკარიძე, გულო მიქაძე, ლამარა უთმელიძე, სოსო ფუტყარაძე, ნინო სვანიძე, გელა ჭანიშვილი, კახაბერ მარკოშვილი, ნუგზარ კახანაძე, გოჩა გრძელიშვილი, რობერტ დარახველიძე, ტარიელ გოგობერიშვილი, თამუნა მელიქიშვილი, გოჩა ყველაიძე, კახაბერ დაშინანი, ირაკლი ცერცვაძე, ზაზა შაყვანაძე, დავით ფოცხიშვილი, გელა ფოცხიშვილი, თენგიზ ჯავახიშვილი, ნოდარ აბულაძე, ავთანდილ გურგენიძე, მელისი ნადირიძე, შალვა გოგუაძე, ოთარ მიქელაძე, გენო ჭელიძე, მერაბ დოლიძე, თემურ ქორიძე, გიორგი ჭანიშვილი, ჯემალ ესიავა, რეზო ბულია, რეზო ჩხეიძე, გია ხუბუხაშვილი, ემირ ნადარეიშვილი, გიგლა თურქია, ამირან პაიჭაძე, რეზო ბერაძე, ახმედ ამბალია, ვაჟა ახვლედიანი, ანზორ კურაძე, გია ხუციშვილი, გია

ჭულუხაძე, თემურ ტატიშვილი, სოსო შენგელია, ქეთევან მონასელიძე, სამსონ მენაბდიშვილი, ვაჟა ნასყიდაშვილი, კობა დუნდუა, ემზარ სანიკიძე, მერაბ მორჩილაძე, მანანა მაკარიძე, ნუკრი ლლონტი, ჯუმბერ ცუცქერიძე, მამუკა ცერცვაძე, რომეო ტატიშვილი, მამუკა გამისონია, გია ფილიშვილი, გია გულვერდაშვილი, კახა კობახიძე, კახა ნკრიალაშვილი, ნოდარ ექსულოძე, ამირან არჩვაძე, ჯემალ ნათენაძე, ალექსანდრე გებრიელაშვილი, გენადი ცისკარიშვილი, ზაზა ბრეგვაძე, ზვიად ხვედელიძე, ბესიკ ტურაშვილი, ვიტალი აბაკელია, იური კუკულაძე, ლამარიკო მელიცკაური, შადი ხადადი, ნანა ნავროზაშვილი, ღვთისო ლიკოკელი, თამარ ინაშვილი, მარინა მაჭავარიანი, ინგა გულარაშვილი, ნინო ყვინიშვილი, გოჩა ბლიაძე, რეზო ბლიაძე, ნინო მდივნიშვილი, თეა გაბელაია, ბესო კოვზიაშვილი, ალექსანდრე ქსოიანი, ვალერი სტელმაშოვი, ვანო ბალახაძე, გია სარდლიშვილი, იური სილაგაძე, ნინო რამიშვილი, გოდერძი მანჯაფარაშვილი, მარი ულენტი, თორნიკე ფარსადანიშვილი, მზია ფარსადანიშვილი, რომეო ბულია, ნაზი ნიკლაური, გურამ ნარმანია, მამუკა მესხიშვილი, ედიშერ ალექსანდრია, მამუკა გვასალია, გურამ ჩოჩია, მარინა ფხაკაძე, გია გურგენიძე, ნაირა მოქერია, ბესო ოთიაშვილი, ზვიად გაბრიელაშვილი, ირაკლი ჩიტაია, ნონა გამხიტაშვილი, დათო კიკვაძე, დავით უგრეხელიძე, ყაზბეგ ბანეთიშვილი, ნათია ალფაიძე, დავით ბაბუხაძე, ოლეგ ბაღდავაძე, გიორგი ბედოძე, ზურაბ ბათმანაშვილი, კახა დგუბაძე, გია ტყევეტიანი, მაკო მიქელაძე, ზაზა ესიავა, გურამ იაკობიძე, რატი ტვილიძე, რაფიელ მიქელაძე, იური ბენდელიანი, რობიკო ბენდელიანი, ვაჟა კუპატაძე, ჭაბუკა ტოგონიძე, ალექსანდრე წერეთელი, ვანო მაჭარაშვილი, ნათია ულენტი, ედუარდ მურცხვალაძე, ლამა ტორაძე, სოფო ქვეხიშვილი, ციალა ქარაული, ეკა ლომთათიძე, ზურაბ ჩანქელიანი, გოჩა ჩიხრაძე, თეონა ჩივაძე, ზურაბ ჩიკვილაძე.

არდასაჰინჯი ხელოვანის „კვალი განახლებული“

ქართულმა ცეკვამ, როგორც ამას მეფე-პოეტი თეიმურაზ პირველი იტყოდა ოდიტ-განვე დაიმკვიდრა „სანურთენელი, სულისა გასანათენი“ ხელოვნების სახელი. მისი განუზომელი სიკეთე, უზადლო მშვენიერება ეროვნულობის უქრობ ნაწილად იქცა.

უდაოდ, წარუშლელია ჩვენი ხალხის საამაყო ხელოვანთა ღვაწლი და დამსახურება, რომელთაც ქართული ცეკვისთვის თავი არ დაზოგეს.

მაღლიანმა საქართველომ კიდევაც უკვდავო სულმნათი პიროვნებების ალექსი ალექსიძის, დავით ჯავროშვილის, ილიკო სუხიშვილის, ნინო რამიშვილის, ჯანო ბაგრატიონის, გიორგი დარახველიძის, ენვერ საბაძის, ავთანდილ თათარაძის, გიორგის ხალუქვაძისა და სხვათა ნადვილი პატრიოტული სულისკვეთება.

სახელოვან მოღვაწეთა „კვალი განახლებული“ მერმინდელმა თაობამაც აიტაცა, სხვაგვარად მეოცე საუკუნის ქართული ქორეოგრაფიის „სამოციანელებად“ რომ გვესახებინან.

გარდა ქართველებისა, ცეკვის ასპარეზზე ჩინებულად ავლენენ თავს სხვა ეროვნების შემოქმედნი, რომელთაგან განსაკუთრებულად გამოვარჩევილი ნიჭიერებით სავსე ალექსი ნიკოლაძეს.

ამ სულმნათმა ხელოვანმა უსაზღვროდ შეიყვარა საქართველო. მეტადრე თბილისი, რომლის მსგავსი ქალაქი არსად ეგულეობდა, იცხოვრა ქართული ზნე-ჩვეულებით, საკადრისად შეისისხლიხორცა ჩვენი სამშობლოს ისტორია, ლიტერატურა, მუსიკა და პოეზია. ბუნებრივია, ამყობდა თავისი მშობლიური ელადის, იგივე საბერძნეთის ნაქები კულტურით.

ქართულმა ცეკვამ კი, რომ იტყვიან, სიყრმიდანვე აიყოლია. ცეკვადა საბავშვო-ახალგაზრდულ კოლექტივებში, ავტორიტეტულ ანსამბლებში, ყველგან თავისებური, უდაოდ, განსხვავებული სამემსრულებლო ხელნერით ხასიათდებოდა.

მის ქორეოგრაფიულ ფორმირებაში საფუძვლიანი როლი შეასრულა თბილისის სერგო ზაქარაიძის სახელობის კულტურულ-საგანმანათლებლო სასწავლებელმა, სადაც, როგორც თვითონ აღნიშნავდა, ქართულ

ცეკვას ასწავლიდნენ მაღალკვალიფიციური პედაგოგ-ქორეოგრაფები. მონდომებით ინტერესდებოდა ქორეოგრაფიული ხელოვნების თეორიული საკითხებითაც, ამ მხრივ, ბევრი რამ შესძინა ბერძენი მწერლისა და ფილოსოფოსის ლუკიანე სამოსატელის, ქართველი ქორეოგრაფის მცოდნეების დიმიტრი ჯანელიძის, დავით ჯავროშვილის, ლილი გვარამაძისა და სხვათა თეორიულმა შეხედულებებმა.

ახლახან, გასული საუკუნის სამოციან წლებში, ალექსი ნიკოლაძე თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსების სამმართველოს სახელმძღვანელო ანსამბლს ამშვენებდა. მიმზიდველი, ხატოვანი ილეთ-მოდრაობებით გამოდიოდა მთიულურ-მოხევეური სახის „სალხინომი“, „ფარიკაობასა“ და „ხანჯლურში“.

მისეულ საცეკვაო ინდივიდუალიზმს, სამაგალითო ტექნიკურ ცეცხლოვანებას ყოველთვის ახლდა „ტაში და გამომახილი“. სხვა ქართულ ცეკვებშიც მონაწილეობდა, რაც საერთო ცეკვათმცოდნეობისთვის აუცილებლობას წარმოადგენდა. მის ხვაი-ან ნიჭიერებასა და ადამიანურ თვისებებზე, საყურადღებოა ეროვნული ქორეოგრაფიის ნოვატორი ხელოვანის, საქართველოს სახალხო არტისტის გიორგი (ბუხუტი) დარახველიძის დახასიათება: „ეს ქართული სულით ნასაზრდოები ბერძენი ახალგაზრდა უაღრესად დახვეწილი სტილის მოცეკვავეა. მეტად თამბქდავი აზრით შემკული გარდასახვით იპყრობს მხილველთა გულებს. გააჩნია ცეკვის კომპოზიციური ხედვის, სადადგმო ანალიზის ნიჭი და უნარი. მეგობრულიცაა, სამართლიანი, ვიმედოვნებ, რომ იგი ახლო მომავალში ჩინებულ ქორეოგრაფად მოგვეცნობება“.

გასაკვირი არ იყო, რომ ალექსი ნიკოლაძემ ნინო რამიშვილისა და ილიკო სუხიშვილის დროინდელ საქართველოს სწორეოგრაფ ანსამბლშიც ჰპოვა სამაგალითო სახელი. აქ ზღვაურად გამოაბრწყინა თავისი უზადო სცენური ოსტატობა. ტანმორჩილი ჩოხოსანი მისაბაძი პასუხიმგებლობით, რჩეული არტისტიზმით ახალისებდა საზღვარგარეთელ ხელოვნების მოყვარულებს. ერთგულად ეურთდებოდა ქართველთათვის

წესად ქვეყნის შთაგონებას: „-თუ სახელს არ მაპოვინებ, როგორ დავბრუნდე შინ“. გათავისებული ჰქონდა, რომ ამგვარი რწმენის, სულგრძელობისა და სიღრმისეული გულისგულობის გარეშე შუქმფენი წარმატებანი არ არსებობს.

თითქმის თხუთმეტი წელი იცეკვა საქართველოს ხალხური ცეკვის აკადემიურ ანსამბლში სხივოსანმა პროფესიონალმა. კიდევაც დაუმშვენდა ნაშრომ – ნაჯაფარი და ღვთიური ნიჭიერება, უყოყმანოდ მიენიჭა საქართველოს დამსახურებული არტისტის ნოდება. მანამდე კი მსოფლიო სტუდენტი-ახალგაზრდების მეცხრე საერთაშორისო ფესტივალის ლაურეატის სახელით ვიცნობდით.

ცნობილია, რომ ალექსი ნიკოლაძე გულდაგულ მუშაობდა თბილისის საბავშვო ქორეოგრაფიაშიც, დედაქალაქის მახლობლად, მარნეულშიც ქართულ ცეკვას აუფლებდა ქართველ, ბერძენ და აზერბაიჯანულ მოსწავლეებს. იქვე ცხოვრობდნენ ვასილიადების გვარის მისივე დედა-მამა, რომელთაც საქართველოს სიყვარულმა ნიკოლაძეობა ასურებინა. სათქმელია, რომ სახელი ალექსი ბერძნულად მცველს ნიშნავს, ხოლო გვარი ნიკოლაძე მომდინარეობს ბერძნული სახელიდან ნიკა (ნიკო), რაც გამარჯვების სიმბოლოდ არის მიჩნეული (ამას ვადასტურებთ ზურაბ ჭუმბურიძის ნიგინიდან „დედა ენა ქართული“, ნაკადული“ თბ. 1981წ.)

ალექსი ნიკოლაძემ თავისი სადადგმო-შემოქმედებითი შესაძლებლობანი დამარწმუნებლად წარმოაჩინა ქუთათურელთა პროფესიონალურ ანსამბლშიც. სიმღერისა და ცეკვის ამ ღირსეულ კოლექტივს ადრეულ ხანებში ხელმძღვანელობდნენ გამოცდილი ადამიანები, რაც დიდ პასუხიმგებლობას აკისრებდა მიზანდასახულ ხელოვანს. მანვე ანსამბლში მისვლის პირველი დღეებიდანვე გამოაჩინა შემოქმედებითი საქმიანობის ძირეული მიმართულება, საამისოდ ქუთაისური ქორეოგრაფიის სტილს კარგად აუღო ალღო, რეპერტუარზეც იზრუნა. იმერულ სასიმღერო მოტივებზე დაამუშავა „საქორნილო ცეკვა“, დადგა ქალთა, ქალ – ვაჟთა და ვაჟთა ცეკვები. მეტადრე ცეკვა „ფხოური“ მოხიბლა მაყურებელი. ამისთვის

მაძიებელი ქორეოგრაფი ფშაველთა ფოლკ-ლორულ და ეთნოგრაფიულ მასალებს გაეცნო. ახლებური სახითაც გამოამზურა ცეკვის არქაული კომპონენტები. ტკბილ-მოვანი მიგნებული მელოდიით შეამკო თითოეული ცეკვის სურათოვანი ეპიზოდები.

საგრძნობლად მოალოინერა სცენური შემსრულებლობა, თვალადი პლასტიკით შეავსო ხალხურობის სახეობანი.

მაღლიანმა შემოქმედებამ ქუთაისელები ძალიან გაახარა. თბილი გული შეაგებეს მის მრქეფარე შემოქმედებას საქართველოს სხვა მხარეებშიც.

მაგრამ დრომ და ვითარებამ რეალობის წინაშე დააყენა. გულმა მშობლიური ელადისკენ გაუნია, რომელზეც გამუდმებით ოცნებობდა. ქალაქ სალონიკში დამკვიდრდა იგი. თავის გარშემო შემოიკრიბა ცეკვის მცოდნე ადამიანები, შექმნა საბავშვო კოლექტივი, ასევე ჩამოაყალიბა ჭაბუკებისა და ქალიშვილების ახალგაზრდული ანსამბლიც. იმასაც ამბობენ, რომ ქართველი ბავშვებიც მოძებნაო. ამით მეგობრობის ერთი კოპონია კერაც შექმნა, სადაც ისტორიული სამშობლო საბერძნეთისა და მეორე სამშობლოდ წოდებულ საქართველოს გაუნოყიერა ნიადაგი.

აღსანიშნავია, რომ სამი წლის წინათ თავის ნოსტალგიურ თბილისს ესტუმრა. ნორჩებმა თვალდასატანებელი „საცეკვაოები“ მოხიბლეს დედაქალაქელები. მოწადინებით, მშვენი გულოვანებით შესასრულეს აჭარული, გურული, სვანური, მოხევეურ-მთიულური ცეკვები. ქალთა ღირიული კომპოზიციებითაც მოგვანონეს თავი. „მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფლიო გაახარებს ვისმეს განა?“ – გულსატკეპნია, რომ ლექსომ ვერ განავრძო თავისი საშვილოშვილო წამოშეყვანა. გულმა უმტყუნა, გულმა, რომელიც სასიქადულო საქმეთა განსახორციელებლად უძგერდა.

ღიახ, ნაადრევად წავიდა ამქვეყნიდან და დავეტიტოვა არაერთი მოსაგონარი, საამაყო სათქმელი და გასაზიარებელი. მართლაცდა, ალექსი ნიკოლაძის შემოქმედებითი ცხოვრების „კვალი განახლებული“ მზენათელია ქართული ქორეოგრაფიის მუდმივ აწყობში.

ზაურ ლაზიშვილი

ბავშვთა სანიმუშო სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლი „ციცქარი“

ქართველებს მდიდარი, ღირებული კულტურული მემკვიდრეობა გვერგო – ქართული ხალხური ცეკვის ხელოვნება. მიუხედავად დროთა ცვლილებისა, საქართველოში არ გამქრალა ტრადიციისადმი ინტერესი, ყველა კუთხეში სიამაყით ცეკვავენ, ავსებენ და ალამაზებენ ერის ისტორიას.

ზუგდიდი ხალხური მხატვრული თვითშემოქმედების საინტერესო ტრადიციების ქალაქია. ბევრი მარგალიტი, სწორედ, რომ ამ ქალაქის წიაღში არის შობილი. ტრადიციებს კი ღირსეული გამგრძელებელი ჰყავს დღესაც, რომელთა შორისაც არის ახალგაზრდა ცოლ-ქმარი, ქორეოგრაფები: რომელი ბუღია და მაკა გვიჩია. ამ ლამაზ ქართულ ოჯახში ცეკვის მუზა დანაწევებული, რადგან ყველა წევრი ხელოვნებას ემსახურება. ოჯახის უფროსის რომელი ბუღიას სახელი კარგად არის ცნობილი ზუგდიდის ქორეოგრაფიული საზოგადოებისთვის, თუმცა მას იცნობენ თბილისსა და საქართველოს სხვა ქალაქებშიც, როგორც ერთ-ერთ საუკეთესო, პერსპექტიულ ახალგაზრდა ქორეოგრაფს.

2013 წელი განსაკუთრებით იღბლიანი აღმოჩნდა ამ წყვილისთვის. 15 დეკემბერს, თბილისის დიდ საკონცერტო დარბაზში საქართველოს ლეგენდარული მოცეკვავის ომარ მხეიძისადმი მიძღვნილ საღამოზე საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობის წევრთა გადაწყვეტილებით მათ მიენიჭათ 2013 წლის საუკეთესო პედაგოგ-ქორეოგრაფის წოდება მედლით, ხოლო ანსამბლი „ციცქარი“ დაჯილდოვდა ლაურეატის დიპლომით – ქართული ხალხური ცეკვის საუკეთესო საშემსრულებლო ოსტატობისთვის.

ანსამბლი „ციცქარი“ 2002 წელს ჩამოყალიბდა. წარმატებები მართლაც რომ სერიოზული აქვთ. თუმცა სანამ უშუალოდ ანსამბლის წარმატებებზე გიამბობდეთ, მის „მაესტროზე“ ვთქვათ ორიოდე სიტყვა.

ანსამბლის ხელმძღვანელი, ქორეოგრაფი რომელი ბუღია 1973 წელს დაიბადა ქ. ზუგდიდში. აქვე დაამთავრა მე-4 საშუალო სკოლა. 1984 წ. დაამთავრა ქორეოგრაფიული სტუდია. ცეკვის პირველი გაკვეთილები ქორეოგრაფმა გურამ ჭკადუამ ჩაუტარა. ბავშვობის წლებში მასთან, ანსამბლ „ეგრისში“ ცეკვავდა. „ეგრისთან“ ერთად გასტროლებით მოიარა პოლონეთი, ჩეხეთი, ბულგარეთი, საბჭოთა კავშირის ქალაქები... ანსამბლმა „ჩელამ“, რომლის სამხატვრო ხელმძღვანელი გახლდათ ბატონი თამაზ მოსია, ხოლო ქორეოგრაფი ზუგდიდის

ცოცხალი ლეგენდა რეზო ბუღია, მეტი საშემსრულებლო ტექნიკა ჩამოუყალიბა. სხვათა შორის, ბატონ რეზოს ნამოწაფარია რომელი დედა, ქალბატონი ნაზო ტორუა, რომელმაც ჩაუნერგა პატარა რომელს ცეკვისადმი სიყვარული. ანსამბლმა „ჩელამ“, როგორც თავად რომელი ამბობს, მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავა მის პიროვნებად და პროფესიონალად ჩამოყალიბებაში.

პაუზა სასცენო ხელოვნებაში სტუდენტურ წლებს უკავშირდება. თსუ-ის დამთავრების შემდეგ 1999 წელს რომელი კვლავ დაუბრუნდა „ჩელას“, როგორც რეპეტიტორი. ანსამბლთან ერთად მოგზაურობს თურქეთში, საბერძნეთში, ბულგარეთში. ... „ჩელა“ სხვა მხრივაც მნიშვნელოვან ადგილს იკავებს მის ცხოვრებაში, რადგან აქ გაიცნობს მომავალ მეუღლეს, „ჩელას“ ერთ-ერთ გამორჩეულ მოცეკვავეს, მაკა გვიჩიას: „ყვავილები არ მიმირთმევია, სიყვარული ხმამაღლა არ ამისხნია... ჩემს თავს ხდებოდა რაღაც სრულიად უცხო რამ, ისეთი, რომელიც ბევრად მეტი იყო ხმამაღლა ნათქვამ სიტყვაზე, ყვავილების თაიგულზე... ამიტომ ის... „ძველი მამა-პაპური წესით“ მოვიტაცე, ოღონდ ცხენისა და ნაბდის გარეშე, მანქანით“ – ვმეზობა რომელი ზუმრობაგარეშით.

რომელი და მაკას სამი შვილი ჰყავთ: ჯინა, რომელიც წელს სტუდენტი გახდა, ლიკა და რობერტი. რა თქმა უნდა, სამივე მოცეკვავეა.

...და, აი „ციცქარის“ დაბადებასაც მივადექით.

ცოლ-ქმარმა ბავშვთა ხსენებული ანსამბლი ზუგდიდის ერთ პატარა სოფელში ახალბასთუმანში ჩამოაყალიბეს. დღეს ის ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მუსიკალურ-ქორეოგრაფიულ ცენტრ „ოდიშთან“ არსებული ბავშვთა სახალხო ანსამბლია. დაუღალავი, ტიტანური შრომის შედეგად წარმატებებიც მოვიდა.

2005 წელს ფოლკლორისა და საესტრადო ხელოვნების ახალგაზრდა შემსრულებელთა რესპუბლიკურ ფესტივალზე „ბრავო 2005“ ანსამბლმა პირველი ადგილი დაიკავა და ოქროს მედლით დაჯილდოვდა...

ეს პირველი გამარჯვება მეცხვე აღმოჩნდა სხვა მრავალი გამარჯვებისა...

2012წ. საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითმა კავშირმა ანსამბლ „ციცქარს“ მიანიჭა სანიმუშო-საბავშვო სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლის წოდება.

2013 წ. ანსამბლი იმყოფებოდა ბულგარეთის რესპუბლიკაში, ქალაქ ნესებრში ბავშვთა და მოზარდთა საერთა-

შორისო კონკურს-ფესტივალზე მონაწილეობას ღებულობდა ათი ქვეყნის 5000-მდე მონაწილე. ჟიურის გადაწყვეტილებით კონკურსზე „ციცქარმა“ აიღო პირველი ადგილი, ქორეოგრაფები დაჯილდოვდნენ საუკეთესო ქორეოგრაფის სპეციალური პრიზით და ფულადი პრემიით.

„ქართული ცეკვა, ქართული სიმღერასთან ერთად, ის უდიდესი ლეთური ფენომენია, რომელიც ნათლად წარმოაჩენს ქართულ სულს, ხასიათს. ქართულმა ცეკვამ შორს გაუთქვა სახელი საქართველოს და მსოფლიო დიდება მოუტანა, რაც დიდი პასუხისმგებლობის წინაშე აყენებს ქორეოგრაფსა და მოცეკვავებს... სწორედ ამ სულისკვეთებით ვუდგებით ბავშვებთან მუშაობას. დიდი მხარდაჭერა გვაქვს ზუგდიდის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ცენტრი „ოდიშის“ (ხელმძ. ნინო მამფორია) მესვეურთაგან. მართლაც თავდაუზოგავმა შრომამ კიდევ ერთ რიყის საჯარო სკოლასთან არსებულ ანსამბლ „ორბს“ ჩაუყარა საფუძველი, რომელიც „ციცქარის“ ნაკვალევით მიაბიჯებს. (რ. ბუღია). ხაზგასასმელია ქორეოგრაფთა დამოკიდებულება რეპერტუარისადმი: ცდილობენ ახალი სული ჩაბერონ (თუმც კი ძალიან ფაქიზად) ძველ მივიწყებულ ელემენტებს ისეთ ცეკვებში, როგორცაა: „მეგრული ფერხული“ „ოსური“ „ქართული“ „ფარცა“ „განდაგანა“ „ნარნარი“ „სვანური“ „ხევსურული“ „ლელო“ „ქართული სულთა“. აქვე მინდა ვთქვა, ანსამბლის კოსტიუმებზე... მათი ჩაცმულობა ყოველთვის ორიგინალური, სანიმუშო და თვალმისაცემია, რაზეც განსაკუთრებით ზრუნავს ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელი, ქალბატონი მაკა გვიჩია.

...და კიდევ ერთი დეტალი რომელი ბუნებიდან. ის საუცხოოდ უხამებს ქორეოგრაფიას საზოგადოებრივ საქმიანობას. როგორც „ოდიშის“ წარმომადგენელი, ინიციატორია ზუგდიდში ჩატარებული არაერთი საინტერესო ღონისძიებებისა, როგორებიცაა: „მზიანი საქართველო“ „შემოდგომის ზეიმი“ „ცეკვის ზეიმი“ „ძმები მოსიების“ სახელობის ფესტივალი „არტ-კოლხი“... ანსამბლი „ციცქარი“ ყოველი წლის გაზაფხულზე ატარებს თავის სოლო კონცერტს სლოვანეთში: „მე მიყვარს ჩემი ქალაქი“.

ვულოცავთ ბატონ რომელი და ქალბატონ მაკას, ანსამბლ „ციცქარის“ ამ წარმატებებს!

მრავალგზის გაგებარებინოთ მაყურებელი და ტაში და ოვაცია არ მოგკლებოდეთ სცენაზე!

ვატი ნაჭყვიანი



ზეცისა პაცი და ქვეყნის ანბელოზი

*ყვითელ მთაზე ნიარაგოს
ცხეთს სრის შვილები,
რათს თოთაშხის ხარ,
გვარსა ამირიკიბი.*

(*ჯ. ჩარკვიანი*)

ჩვენი წერილის ეპიგრაფი ჯანსუღ ჩარკვიანის ახლახან გამონათებული ლექსიდან მოვიშველიე. პოეტს საუცხოოდ მოურთავს და მოუქარავს თითოეული პნკარი. თხსტროფიანი ლექსი ჭაბუა ამირეჯიბის გარდაცვალებისთანავე დაწერა, მღელვარე გულიდან ამოთქვა: „აქ ჭაბუა იყავი, იქ ჭაბუად დარჩები.“ დიახ, აქ იყო დიდი ჭაბუა, ქართველ ხალხის ბედ-იღბალზე, ჩვენი მინა-წყლის მუდმივ ანმყოზე ოცნებობდა და ღალადებდა. ოთხმოცდათორმეტი წელი იცოცხლა მადლიანმა მწერალმა. 2013 წლის 12 დეკემბერს, ღამით, სამუდამოდ დახუჭა თვალები. თანამინდის ნეტარ მინას მიაბარეს ქართველი ერის სახალხო მწერალი, ბერი დავითის სახელითაც რომ შეუერთდა უკვდავების სამწყსოს. იქ ხომ სამარადისოდ განისვენებენ ღმერთთან მოსაუბრე ერისკაცები- ილია, აკაკი, ვაჟა, გალაქტიონი და სხვა სასიქადულო მამულიწვილები. თურმე სიკვდილის წინა დღეებშიც მოგვანვდინა გულიდან ამოტანილი ხმა „ფრთხილად ქართველებო!“ ერსა და ბერს, დიდსა და პატარას, ყველას ერთიანად შთაგვაგონა, რომ სამშობლოს სატკივარი აქვს, მტარვალთ არ სძინავთ, ჩვენი დაქუცმაცების მოლოდინში არიან. მხოლოდ სიბრძნე და გონიერება, სიმხნევე და ვაჟკაცობა, „ერთ სულ, ერთ ხორც“ ყოფნა გვმართებს იმერსა და ამერს; . . . დღენიადაც წერდა ქვეყნისთვის, წერდა ერის საიმედოდ. ამას კიდევაც ამბობდა: „რასაც ვწერდი, ჩემი ერის აზრი, სურვილი და საკუთრება იყო.“ თუმცა უკეთურ, შურით შეპყრობილ კაცებს რა გამოლევს, ყოველთვის ცდილობდნენ მისი ზღვაური ნიჭიერების, დიდქართველობის გაბაიბრებებს.

მაგრამ ორგულთა განზრახვებმა მაინც ვერ მოიდგეს ფეხი. ხალხს კარგად გაეგებოდა, რომ „დათა თუთაშხიას“ ავტორი ბევრად ჰგავდა ფრთაშესხმული ნანარმოების მთავარ გმირს... თექვსმეტი წელი ამყოფეს ეროვნულობისათვის დასასჯელ ჯოჯოხეთურ საპყრობილეში. ვერა და ვერ გატეხეს, ვერ შეუცვალეს ქართული სულიერების, ზნეობრიობის სულისკვეთება, და რაც მთავარია, გულში ვერ ჩაუკლეს ილიასეული შეგონება: „მამული, ენა, სარწმუნოება.“ სწორედაც ასეა, ჭაბუა ამირეჯიბი წერდა და გვაგრძობინებდა, რომ ერი რომელმაც შვა უნიკალური სამწერლობო ენა, შექმნა მრავალხმიანი, მომაჯადოებელი სიმღერები და საუკუნეთა სიძველეში ამოზრდილი მრავალსახოვანი ცეკვები, შეუძლებელია გადაჯიშდეს, მით უფრო, თუ ცეკვების ფესვები ღრმა და ურყევი.

უნდა ითქვას, რომ „დათა თუთაშხიას“ და „გორა მბორგალის“ ავტორი ჩინებულად იცნობდა ქართულ

ხალხურ ცეკვას, რომლის თაობაზე მეტად გასაზიარებელი შეხედულებანი გააჩნდა. ყოველივე ამას გამოხატავდა ცალკეულ შემოქმედებით ღონისძიებებზე და სპეციალისტებს შორის.

ცნობილია, რომ მწერალმა დაგვიტოვა აზრით სავსე მომცრო წერილი. მისი სათაურია „ჩვენი ერის უკვდავების პირობა.“ მასში არაერთი ყურადსაღები მოსაზრებანი აქვს გამოთქმული ქართული ცეკვის ფენომენზე. სასწაულებრივ მოვლენად ესახება ჩვენი ხალხის პლასტიკური საუნჯე. განსაკუთრებულად მსჯელობს ეროვნული საცეკვაო ლექსიკის გამომსახველობაზე. ღმერთის შთამაგონებელ სახედ მიუჩნევია ილეთ-მოძრაობათა მრავალგვარი ფერადოვნება.

სხვაგვარად, ალბათ, ვერც შევასებთ მწერლის მიერ დანახულ საცეკვაო სურათოვნებას, რასაც ასე გადმოგვცემს: „ქართული ცეკვის ფენომენი ისეთივე სასწაულია, როგორც თვით ბუნება და სიცოცხლე. სიცოცხლის არსი და მარადიული სილამაზე გამოიხატება ქართული ცეკვის უმდიდრეს ილეთებში. ეს ილეთები ადამიანს არ გამოუგონია, იგი ღმერთმა შთააგონა მას, ვაჟკაცი რომ ხელს გაშლის, თითქოს მთელი სხეულით სიცოცხლეს ზეიმობს და ღმერთს მადლობას სწირავს; ქალის პლასტიკა კი მზის მოფენასავით მადლიანია.“ (რ. ჭანიშვილი, ქართული ცეკვის სადიდებელი, გამომჩენილი ადამიანები ქართული ქორეოგრაფიის შესახებ, გვ. 11)

უდავოდ დასამახსოვრებელია ჰაეროვანი ფრაზა: „ვაჟკაცი რომ ხელს გაშლის, თითქოს მთელი სხეულით სიცოცხლეს ზეიმობს.“ კიდევ უფრო შთაბეჭდავია სახიერი გამონათქვამი: „ქალის პლასტიკა კი მზის მოფენასავით მადლიანია.“ ამგვარი დასაბუთება მწერლის შეუდარებელ მხატვრულ ხედვაზე მეტყველებს. ნათლად ჩანს, რომ ჩვენს წინაშე იხატება ქალისა და ვაჟის სატრფიალო „ქართულის“ საცეკვაო კონფიგურაცია. მისი გონების თვალთაკრეფილი ქართული ცეკვის ცხოვრება ისეთივეა, რასაც ჩვენი ხალხი ქმნიდა და ძერწავდა უხსოვარი დროიდან.

ჭაბუა ამირეჯიბი სიამაყით იგონებს „ძველად ყოველ ქართულ ოჯახში საერთო ლხინის დროს ცეკვა-სიმღერა აუცილებელი იყო.“ მართლაცდა, ყოველივე იგი საერთო წესად, უქრობ მოვლენად მიიჩნეოდა. მღეროდნენ და ცეკვავდნენ ხანდაზმულები, რომლებიც წინაპართაგან ითვისებდნენ საუკუნეებში გამოტარებულ ხალხურ ქმნილებებს. რა თქმა უნდა, ოჯახის სხვა წევრებიც, ახალგაზრდობა, ბავშვებიც კი ვერ იქნებოდნენ ტრადიციული ინტერესების მიღმა.

მწერალი გვამცნობს, რომ თურმე მისი მამა მღეროდა, მამიდა კი ცეკვავდა... ცეკვა მასაც ჰყვარებია, რაშიც მუსიკას, საცეკვაო მელოდიას შეუქცევადი ფუნქცია ეკისრებოდა. ამის შესახებ მეტად სარწმუნოდ მსჯელობს: „ქართული ნებისმიერი ილეთი მოძრაობით, პლასტიკით გაცემული პასუხია იმ რიტმულ გამოცანებზე, რასაც საცეკვაო მუსიკა უგზავნის ადამიანს. ასე ამოძრავებს მე როკვას ვუნოდებ, ანუ საცეკვაო რიტმით გამოწვეულ მოძრაობას და არა გაზეპირებულ ნას-

წავლ ილეთს.“ (რ. ჭანიშვილი, ქართული ცეკვის სადიდებელი, გვ.11)

ცხადია, რომ ქართული ლიტერატურის კლასიკოსი ცეკვაში იმპროვიზირების, სახელდახელო გარდასახვის ნიჭიერებას გულისხმობს. გვაცოდინებს, რომ ხალხური მუსიკის სილალე, მკაფიო რიტმულობა ღრმად უნდა შეიგრძნოს ცეკვის შემსრულებელმა. სხვაგვარად, უმისამართო, გაზეპირებულ მოძრაობათა გამოყენება თვითმიზნურია და უფერული.

მწერალი გულისხმავს: ცეკვა ჩემთვის არავის უსწავლებიაო. გულ-ლიადაც გვესაუბრება, რომ „სათანადო ვითარებაში,“ ესე იგი, ხალხურ გართობებსა და დღესასწაულებზე, ასევე ლხინში, შემთხვევა არ დაუკარგავს, რომ მუსიკის რიტმს მისადაგი პლასტიკით გამოხმაურებოდა. ყოველივე ამგვარ საცეკვაო ვითარებას როკვას უწოდებდა, ანუ იმ სათავედაც თვლიდა, „საიდანაც დღევანდელი ქართული ცეკვა იშვა.“

ღირსსაცნობია, რომ ჭაბუა ამირეჯიბს „როკვა“ რამდენჯერმე აქვს ნახსენები. ამ უძველეს ტერმინში განსხვავებულ შინაარსსაც პოულობს. ერთია, ის რომ „როკვა“ ცეკვის საერთო სახელწოდებად ესახება. მეორე-ნაირად კი, „როკვა“ მუსიკის რიტმზე სახელდახელოდ გაცეკვების განმსაზღვრელ ნიშნადაც მიუჩნევია.

საინტერესოა, მისი სიტყვების მნიშვნელობა, რომელთაგან გამოსაცნობად გვესახებიან: ილეთი მოძრაობით, რიტმული გამოცანები, რიტმით გამოწვეული მოძრაობა. ხიბლით სავსეა მისივე ფრთიანი გამონათქვამები: „ქართული ცეკვის ფენომენი ისეთივე სასწაულია, როგორც თვით ბუნება და სიცოცხლე.“ „სიცოცხლის არსი და მარადიული სილამაზე გამოიხატება ქართული ცეკვის უმდიდრეს ილეთებში.“

გასაკვირი არაა, თავისდაუნებურად რომ გაჩნდება შესაბამისი კითხვა: რას ნიშნავს გამოთქმა „უმდიდრესი ილეთები“? ჩვენი შეხედულებით, უმდიდრესია ილეთები, რომლებიც გამოირჩევიან ლაპიდალურობით, მოხაზულობის მზინავი ნიშან-თვისებებით, ფორმისა და გამომსახველობის სიმშვენიით, შინაარსისა და აზრის გაგების შესაძლებლობით.

დიახ, ქართული ცეკვის ილეთები, იგივე საცეკვაო ლექსიკა, თუნდაც ქართული ცეკვის ენა მდიდარია და მრავალფეროვანი, როგორც უნეტარესი ქართული ენა, ტევადია და ყოვლის მომცველი... სხვა ჯიშისაა, სხვაფრივ უდულს სისხლი, მინდვრის ყვავილივით მგრძნობიარეა. მის „საბრძანებელში“ ერთთავად თავსდება მშობლიური ცისა და მიწის სიყვარული, მოყვრისა და მოძმის პატივისცემა. ზნეობრიობისა და კაცთმოყვარეობის ნიჭიერება.

ვფიქრობთ, ერთგვარი მინიშნებაა, უფრო სწორად მოწოდება, ნამდვილი პატრიოტი მწერლის ერთ-ერთ ზემოთაღნიშნულ ნააზრევში: „ძველად ყოველ ქართულ ოჯახში ლხინის დროს ცეკვა-სიმღერა აუცილებელი იყო.“ მართლაც, ოდითგანვე ქართული ოჯახი ხალხური შემოქმედების ერთ-ერთ უტყუარ კერას წარმოადგენდა, მაგრამ დრომ და ვითარებამ ამ ეროვნულ სიკეთეს ნიად-

ავი გამოაცალა. რატომღაც დავიწყებამიეცა ოჯახური ხელოვნების სცენური დათვალერებები, საკონკურსო ასპარეზობანი, რომელთაც კარგა ხანს შემოგვინახეს ხალხური ხელოვნების ნიმუშები.

ყველანაირად უნდა შევეცადოთ, რომ გამოვაცოცხოთ, ახალი შემოქმედებითი გზა-კვალი გამოვუნახოთ ქართულ ხალხურ ხელოვნებას. იგი დიდი ილიასი არ იყო „თვით-ნაჩენია, თავით თავისიმყოფია.“ მისი ისტორიული, სოციალურ-კულტურული მნიშვნელობა ხალხის ცხოვრების უცილებელი ნაწილია. ოჯახური ხელოვნება ქართული ცეკვისთვის ზრუნვის, მისი განვითარების ერთ-ერთი საიმედო წყაროს წყალია.

... საქართველოს სახალხო მწერალს ქართული ცეკვა სიცოცხლისა და მარადიული არსებობის საწყის სათავედ დაუსახავს, უფრო მეტიც, ქართული ცეკვა ჩვენი ერის უკვდავების პირობააო-შთაგვაგონებს. ოპტიმიზმით აღსავსე მონოდებითაც გვაძლიერებს. „სანამ ჩვენი მშვენიერი ქალ-ვაჟები ქართულად ცეკვავენ, გადაშენება არ გვინერია.“

ამ ფიგურალურ გამონათქვამში კოდირებულია შემოქმედებითი მოვალეობის სიცოცხლისუნარიანობა, უდიდესი პასუხისმგებლობაც წარსულის, ანმყოსა და მომავლის წინაშე. ჰოდა, სიფრთხილე გვმართებს, რაიმე ზიანი არ მიადგეს ქართულ ცეკვას, მისი ბედით დაფიქრებული მწერალი გონების თვალთ აცნობიერებს, რომ უწინარესად ქართულად უნდა ვიცეკვოთ. სწორედ, ამ სიცხადეშია ჩვენი ყოფისა და არსებობის, ეროვნულობის უტყუარი სიკეთე. ჩვენმა წინაპრებმა სულისფერებით მოგვიტანეს ქართული ცეკვის მადლმოსილება, გვაცოდინებს, რომ არაქართული საცეკვაო „ჩანართების“ შემოტანა, ხალხურობის, მეძვიდრობითობის უგულვებლყოფა თავის მომხიბვლელობას, ისტორიულ სახეს ნაუხდენს ქართულ ცეკვას. რა თქმა უნდა, მიუსადაგობა და შეუსაბამობანი თვალში საცემია. მწერლის წერილიც სათანადო სტიმულს გვაძლევს, თუ რა უნდა მოვიმოქმედოთ სადღესო შემოქმედებითი ცხოვრების სასიკეთოდ. იმედსაც გვაძლავს, რომ ახალგაზრდა თაობა რიგაან პატრონობას გაუნევს ჩვენს სალოცავ პლასტიკური მონაპოვარს.

... გვეამაყება რომ ქართველებს გვეყავდა გონიერებითა და სიბრძნით დაყურსული უდიდესი მწერალი, ნამდვილი სახალხო მოღვაწე. მისი ცეცხლოვანი გული არასოდეს დანელებულა. თავდაუზოგავად იღვწოდა, ინვოდა, არ ისვენებდა. ჩვენს ცნობიერებაში უხვად შემოჰქონდა სამშობლო-ქვეყნის, ეროვნული კულტურის უსაზღვრო სიყვარული.

სწორედ, მის შესახებ ითქმება, რომ იგი უთუოდ იყო „ზეცისა კაცი და ქვეყნისა ანგელოზი.“ (გიორგი მერჩულე)

ზაურ ლაზიშვილი,
საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარის მოადგილე



საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა
შემოქმედებითი კავშირის

ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

ძ.თბილისი №50 04/12/2013 წ.

საქართველოს ქორეოგრაფიის რაინდის ორდენით
დაჯილდოების შესახებ

საქართველოში ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისა და საცეკვაო ხელოვნების სფეროში ხანგრძლივი, პრაქტიკული და თეორიული მოღვაწეობისათვის, გამოჩენილი ხელოვანი და საზოგადო მოღვაწე დაჯილდოვდნენ „საქართველოს ქორეოგრაფიის რაინდის“ ორდენით.

- | | | |
|----|----------------------------|--|
| 1 | ომარ მხეიძე | საქართველოს სახალხო არტისტი; |
| 2 | ფრიდონ სულაბერიძე | ანსამბლ „რუსთავის“ მთავარი ქორეოგრაფი, საქართველოს სახალხო არტისტი; |
| 3 | ლაუზი (რეზო) ჭანიშვილი | საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე, პროფესორი; |
| 4 | რევაზ ჭოხონელიძე | საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლ „ერისიონის“ მთ. ქორეოგრაფი, საქართველოს სახალხო არტისტი; |
| 5 | თენგიზ უთმელიძე | საქართველოს სახალხო არტისტი; |
| 6 | უჩა დვალისვილი | ქორეოგრაფი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი; |
| 7 | ზაურ ლაზიშვილი | საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, აჭარის ა.რ. დამსახურებული არტისტი, ღირსების ორდენის კავალერი; |
| 8 | თემურ ბიბილეიშვილი | ქ.ბათუმის ხალხური ცეკვის სახელმწიფო ანსამბლ „ხორუმის“ სამხატვრო ხელმძღვანელი, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი |
| 9 | ომარი (ჯემალ) რეხვიაშვილი. | საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „იმედის“ ხელმძღვანელი; |
| 10 | ჯეირან გოგინავა | საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის იმერეთ-რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის რეგიონალური ორგანიზაციის თავმჯდომარე, საქართველოს დამსახურებული არტისტი; |
| 11 | გიორგი (გოგი) ჩაჩავა | ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „ჩვენი შვილების“ ხელმძღვანელი, საქართველოს დამსახურებული არტისტი; |
| 12 | ალექსანდრე გვარამაძე | ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „მთიების“ სამხატვრო ხელმძღვანელი; |

კავშირის თავმჯდომარე - /ლ. ჭანიშვილი/



საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა
შემოქმედებითი კავშირის

ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

ძ.თბილისი №51 04/12/2013 წ.

საქართველოს ქორეოგრაფიის ბრწყინვალეების ორდენით
დაჯილდოების შესახებ

საქართველოში ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისა და საცეკვაო ხელოვნების სფეროში ხანგრძლივი, პრაქტიკული მოღვაწეობისათვის გამოჩენილი ქორეოგრაფები და საზოგადო მოღვაწეები დაჯილდოვდნენ „საქართველოს ქორეოგრაფიის ბრწყინვალეების“ ორდენით.

- | | | |
|---|-------------------|--|
| 1 | ნუნუ ღვინერია | საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „იმედის“ ხელმძღვანელი; |
| 2 | გელოდი ფოცხიშვილი | ქორეოგრაფიული ანსამბლ „მეტეხის“ სამხატვრო ხელმძღვანელი; |
| 3 | ნინო ტურიაშვილი | საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული სასახლის ანსამბლ „ფერხლის“ ხელმძღვანელი და მთ. ქორეოგრაფი, დამსახურებული პედაგოგი; |
| 4 | ახმედ აბალაია | ქ. ფოთის ქორეოგრაფიული ანსამბლ „ფაზისის“ სამხატვრო ხელმძღვანელი და მთ. ქორეოგრაფი |

კავშირის თავმჯდომარე - /ლ. ჭანიშვილი/



საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა
შემოქმედებითი კავშირის

ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

ძ.თბილისი №52 04/12/2013 წ.

„საქართველოს ქორეოგრაფიის ამაგდარის ორდენით“
დაჯილდოების შესახებ

წარმატებული შემოქმედებითი მოღვაწეობის, ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარებაში შეტანილი წვლილისა და კავშირის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის, „საქართველოს ქორეოგრაფიის ამაგდარის ორდენით“ ჯილდოვდებიან:

- | | | |
|----|----------------------|--|
| 1 | თენგიზ სუხაშვილი | ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „სიხარულის“ ხელმძღვანელი |
| 2 | ნაზი წიკლაური | ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „ალგეთის“ ხელმძღვანელი |
| 3 | გიგლა თურქია | ქ. ფოთის ფოლკლორის ცენტრის დირექტორი და ქორეოგრაფიული ანსამბლ „ლაზიკას“ ხელმძღვანელი |
| 4 | ედიშერ ალექსანდრია | ქ. ფოთის ქორეოგრაფიული ანსამბლ „როკვას“ ხელმძღვანელი |
| 5 | ირაკლი ცერცვაძე | ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „ბასიანის“ ხელმძღვანელი |
| 6 | კახაბერ დაშინანი | ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „ლაშქარის“ ხელმძღვანელი |
| 7 | კობა დუნდუა | ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ქორეოგრაფიული ანსამბლ „გურიას“ ქორეოგრაფი. |
| 8 | ტარიელ ქართლელიშვილი | ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „ცეროდენას“ ხელმძღვანელი |
| 9 | კახაბერ მარკოიშვილი | ჭინვალის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „მნათეს“ სამხატვრო ხელმძღვანელი და ქორეოგრაფი |
| 10 | თამაზ ჟორჯოლიანი | ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „იბერიას“ ხელმძღვანელი |
| 11 | რეზო ბერაძე | ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „ივერია პლიუსის“ ხელმძღვანელი |
| 12 | ვიტალი აბაკელია | ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „ლაზარეს“ ხელმძღვანელი |
| 13 | გელა ჭანიშვილი | საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის ოფისმენეჯერი |
| 14 | ვალერი სტელმაშოვი | ახალქალაქის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის დეპარტამენტის თავმჯდომარე |
| 15 | ედუარდ მურცხვალაძე | ახალგაზრდული ქორეოგრაფიული ანსამბლ „უნივერსიტეტის“ ხელმძღვანელი |
| 16 | ოლეგ ბაღდავაძე | ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „სალხინოს“ ხელმძღვანელი |
| 17 | ამირან პაიჭაძე | ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „მწვერვალის“ ხელმძღვანელი |
| 18 | მურმან გამისონია | საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის პასუხისმგებელი მდივანი, ფინანსური მენეჯერი |
| 19 | ჯემალ ესიავა | ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „აისის“ ხელმძღვანელი |
| 20 | ჯუმბერ ცუცქერიძე | ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „კლდეკარის“ ხელმძღვანელი |
| 21 | მამუკა ცერცვაძე | ქორეოგრაფიული ანსამბლ „ფესვების“ ხელმძღვანელი |
| 22 | ამირან არჩვაძე | ლაგოდეხის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „ლაკვასტას“ ხელმძღვანელი და ქორეოგრაფი; |
| 23 | ვალერი მოქერია | მეცნატი |
| 24 | გოჩა ყველაძე | ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „კიდევაც დაიზრდებიანის“ ხელმძღვანელი |
| 25 | თემურ თხილაიშვილი | ქობულეთის სიმღერისა და ცეკვის სახალხო ანსამბლ „ქობულეთის“ სამხატვრო ხელმძღვანელი და მთ. ქორეოგრაფი. |

კავშირის თავმჯდომარე - /ლ. ჭანიშვილი/





საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა
შემოქმედებითი კავშირის

ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

ქ.თბილისი №53 04/12/2013 წ.

„სანიმუშო საბავშვო სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლის“
წოდების მინიჭების შესახებ

წარმატებული შემოქმედებითი მოღვაწეობის, ქორეოგრაფიულ ხელოვნებაში
შეტანილი წვლილისა და კავშირის საქმიანობაში აქტიური მონაწილეობისათვის
მიენიჭოს:

1. ქ. თბილისის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს „ივერია პლიუსი“ (სამხატვრო
ხელმძღვანელი და მთავარი ქორეოგრაფი რეზო ბერაძე) „სანიმუშო
საბავშვო სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლის“ წოდება.
2. ქ.თბილისის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს „ქართული ფესვები“
(სამხატვრო ხელმძღვანელები და ქორეოგრაფები დავით მაისურაძე,
თამარ მეშვილდიშვილი) „სანიმუშო საბავშვო სახალხო
ქორეოგრაფიული ანსამბლის“ წოდება.
3. ქ.ბათუმის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს „თამარიონი“ (სამხატვრო
ხელმძღვანელი მიხეილ მელუა, ქორეოგრაფი ანზორ კოკაია)
„სანიმუშო საბავშვო სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლის“ წოდება.
4. ლაგოდეხის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს „ჭერეთი“ (სამხატვრო
ხელმძღვანელი და ქორეოგრაფი კახა კობახიძე) „სანიმუშო საბავშვო
სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლის“ წოდება.
5. ქ. გორის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს „ლაჟვარდი“ (სამხატვრო
ხელმძღვანელი და ქორეოგრაფი ნონა გამხიტაშვილი) „სანიმუშო
საბავშვო სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლის“ წოდება.
6. ქ. გორის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს „ასსას ფესვები“ (სამხატვრო
ხელმძღვანელი და ქორეოგრაფი ქეთევან ნარიაშვილი) „სანიმუშო
საბავშვო სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლის“ წოდება.
7. ქ. ტყიბულის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს „ოკრიბა“ (სამხატვრო
ხელმძღვანელები და ქორეოგრაფები ფრიდონ და გუჩე ბორცვაძეები)
„სანიმუშო საბავშვო სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლის“ წოდება.
8. ქ. თბილისის ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლს „კოლხი“ (სამხატვრო
ხელმძღვანელი და ქორეოგრაფი ზაზა ესიავა) „სანიმუშო საბავშვო
სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლის“ წოდება.



კავშირის თავმჯდომარე - *[Signature]* /ლ. ჭანიშვილი/



საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა
შემოქმედებითი კავშირის

ბ ა ნ კ ა რ ბ უ ლ ე ბ ა

ქ.თბილისი №54 04/12/2013 წ.

საქართველოს წლის საუკეთესო ქორეოგრაფი, პედაგოგ-ქორეოგრაფისა და
ქორეოგრაფ-რეპეტიტორის მინიჭების შესახებ

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედთა კავშირი აღნიშნავს, რომ
გასული 2013 წელი მნიშვნელოვანი და ნაყოფიერი იყო ქართული ქორეოგრაფიული
ხელოვნების განვითარების თვალსაზრისით. დედაქალაქისა და რეგიონების ანსამბლებმა არა
ერთი საინტერესო რესპუბლიკურ თუ საერთაშორისო ღონისძიებაში მიიღეს მონაწილეობა,
რითაც ხელი შეუწვეს ქართული ქორეოგრაფიის ხელოვნების პროპაგანდას და მის შემდგომ
პოპულარიზაციას.
აღნიშნულის გათვალისწინებით და ქართულ ქორეოგრაფიაში შეტანილი წვლილის, 2013
წლის განმავლობაში კავშირთან აქტიური თანადგომის, ასევე მოზარდი თაობის ფიზიკურ-
ესთეტიკური აღზრდის საქმეში მიღწეული წარმატებების აღსანიშნავად:

1. საქართველოს წლის საუკეთესო ქორეოგრაფი

მიენიჭოს ანგული ქავთარაძეს საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობის ეროვნული
სასახლის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლ „კავკასიონის“ ხელმძღვანელს „წლის
საუკეთესო ქორეოგრაფის“ წოდება;

2. საქართველოს პედაგოგ-ქორეოგრაფი

მიენიჭოს რომეო ბულიას, ზუგდიდის ბავშვთა ქორეოგრაფიული ანსამბლის ხელმძღვანელსა
და მთავარ ქორეოგრაფს, წლის საუკეთესო პედაგოგ-ქორეოგრაფის წოდება.

3. საქართველოს ქორეოგრაფ-რეპეტიტორი

მიენიჭოს გიორგი მდინარაძეს ბავშვთა ქორეოგრაფიულ ანსამბლ „ჩვენი
შვილები“ რეპეტიტორს „წლის საუკეთესო ქორეოგრაფ-რეპეტიტორის“ წოდება.

კავშირის თავმჯდომარე - *[Signature]* /ლ. ჭანიშვილი/



S O S!

გადავარჩინოთ გაზაფხული «საქართველოს ქორეოგრაფია»!

დღეს, ყველას მოგვეხსენება, რომ ქვეყანა გასაჭირშია და ხალხშიც სიღუბნეში ცხოვ-
რობს, მაგრამ ცხოვრება გრძელდება და განვლილ წლებს უკან ვეღარ დავიბრუნებთ. ჩვენ
მიერ დაწვეული შეცდომები ხვალ ჩვენი შვილების და შვილიშვილების გამოსასწორებელი
იქნება და ამით უფრო და უფრო უკან დავიხევთ, თუმიცა დღესაც შეგვიძლია ერთად
დგომითა და ერთგვანი მიზნისკენ სწრაფვით თითო წილი აგური დავდეთ, მაგრამ, სამ-
წუხაროდ, ყველა „გათითოკაცებულა“ დიდი ილიასი არ იყოს. ასე რომ ეფიქრათ ჩვენს
დიდებულ წინაპრებს, დღეს ჩვენც არ ვიქნებოდით. დღეს გავაკეთეთ ერისთვის სასარგე-
ბლო საქმე, დღეს დაწვერთ ჩვენი ქვეყნის ქორეოგრაფიული ისტორია, რომ ეს მომ-
დევნო თათბებმა გააგრძელონ. ყველა დამეთანხმებით, რომ გაზეთმა უნდა იცოცხლოს და
დღეს თქვას თავისი სათქმელი, რომ ხვალ გვიანი არ იყოს. დღეს ჩვენ „ვთესთ და ხვალ
ღმერთი მოგვიძის!“

თანადგომის მსურველები დაგვიკავშირდით:

მობ.: 558 19 00 14; 599 77 50 85.

წინასწარ გიხდით მადლობას, გაზეთის რედაქტორი **რუსუდან კინჭოშვილი**

ვიზიტი პრეზანში

მურმან გამისონიას ფოტოჯაზი



გასული 2013 წლის 26-28 დეკემბერს, საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის წარმომადგენლობითი დელეგაცია, რომლის შემადგენლობაშიც, კავშირის ხელმძღვანელობის გარდა, ირიცხებოდნენ ქორეოგრაფიული კულტურისა და ფოლკლორული ხელოვნების აფხაზი და ოსი სპეციალისტებიც, ოფიციალური ვიზიტით ეწვია მეზობელ ქვეყანას-სომხეთს.

აღნიშნული ვიზიტი იყო საპასუხო ღონისძიება და გაგრძელება იმ საქმიანობისა, რომელსაც საფუძველი ჩაეყარა ჯერ კიდევ ოქტომბრის თვეში, საქართველოში ვიზიტად მყოფი სომხეთის საცეკვაო ხელოვნების მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის ხელმძღვანელობის სტუმრობის დროს.

საპასუხო ვიზიტი მნიშვნელოვანი იყო იმით, რომ გაფორმდა ოფიციალური მემორანდუმი ორი მოძმე სახელმწიფოს ანალოგიური პროფილის მქონე შემოქმედებითი კავშირებს შორის, დაისახა მომავალი ურთიერთობის გეგმები, განისაზ-

ღვრა სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე მიმართულებები და უახლესი სამუშაოების შესრულების ვადები. ვიზიტის შედეგები შეჯამდა ქ. ერევანის ჟურნალისტთა სახლში გამართულ პრესკონფერენციაზე. მისი მიმდინარეობა გაშუქდა ქვეყნის საინფორმაციო საშუალებებით.

ვიზიტის მნიშვნელობას ზრდის ის გარემოება, რომ შეხვედრაზე, მათ შორის ქალაქის მერიაში, სპეციალისტთა ფართო წრეებში საბოლოოდ მოიხაზა გაერთიანებული ერების ორგანიზაცია „კობერმის“ ეგიდით განსახორციელებელი ქორეოკულტურული პროექტის ძირითადი კონტურები. პროექტის ფარგლებში ჩასატარებელ ფესტივალს სწორედ ქ. ერევანი უმასპინძლებს.

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის გამგეობა მიიჩნევს, რომ აღნიშნული ვიზიტი იყო უაღრესად შინაარსიანი, საქმიანი და ნაყოფიერი. მისი შედეგები გაგრძელებას ჰპოვებს მომავალ ურთიერთობებში.



ბრაჰო, ომარ!

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებით კავშირთან ერთად, 2013 წლის 15 დეკემბერს 18.00 სთ-ზე, დიდ საკონცერტო დარბაზში მოაწყო საბავშვო და ახალგაზრდული ქორეოგრაფიული კოლექტივების წლიური შემაჯამებელი ღონისძიება დევიზით „**ბრაჰო ომარ!**“

გამორჩენილი ქართველი მსახიობ-მოცეკვავის, საქართველოს სახალხო არტისტის, ეროვნული პრემიის ლაურეატის, თბილისის საპატიო მოქალაქ-

ის, ქართული კულტურის რაინდის, საუკუნის მოცეკვავე-ლეგენდარული **ომარ მხეიძის** ცხოვრება და შემოქმედება კვლავ საზოგადოებრივი ყურადღების ცენტრშია.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ ქვეყნის სხვადასხვა რეგიონიდან ჩამოსული საბავშვო და ახალგაზრდული ქორეოგრაფიული კოლექტივები, მათ შორის, ომარ მხეიძის სახელობის სტუდიებთან არსებული უკვე გარკვეული დამსახურების მქონე ანსამბლები.

საქართველოს ქორეოგრაფიის მო-

ღვაწეთა შემოქმედებითმა კავშირმა საქართველოში ქორეოგრაფიული ხელოვნების განვითარების საქმეში შეტანილი დიდი წვლილისა და საცეკვაო ხელოვნების სფეროში ხანგრძლივი, პრაქტიკული და თეორიული მოღვაწეობისათვის დააჯილდოვა გამოჩენილი ქორეოგრაფები: საქართველოს ქორეოგრაფიის რაინდის ორდენით; საქართველოს ქორეოგრაფიის ბრწყინვალეების ორდენით; საქართველოს ქორეოგრაფიის ამაგდარის ორდენით.

ქორეოგრაფები ასევე დააჯილდოვა ქ. თბილისის მერიამ „კულტურის

ამაგდარის“ ნოდებით. გამოვლინდა „წლის საუკეთესო ქორეოგრაფი“; „წლის საუკეთესო რეპეტიტორ-ქორეოგრაფი“; „წლის საუკეთესო პედაგოგ-ქორეოგრაფი“; წლის საუკეთესო მოცეკვავეს გადაეცა ჯემალ ნავროზაშვილის სახელობის პრემია.

წარმატებულ საბავშვო ანსამბლებს მიენიჭათ „სანიმუშო საბავშვო სახალხო ქორეოგრაფიული ანსამბლის ნოდება“, გადაეცათ ომარ მხეიძის სახელობის პრიზი, ხოლო ღონისძიებაში მონაწილე ბავშვები დაჯილდოვდნენ სპეციალური დიპლომებით.



C
M
Y
K



სახსრები

მადლობა შენ, ამ ხილვისთვის, უფალო, თოვს, შეხვედრა ჩვენთან ცას უხარია. არც ერთი დღე არ არსებობს უბრალო, ყოველი დღე მართლაც საჩუქარია.

მთების ლოცვა მოაქვს ნიავს თრთოლით და სუფთა ფიქრით, სუფთა ფიფქებს ვედრებით... ცხენის წელი მოჯირითდა, მოვიდა, ჩვენ კი ვიყოთ ღირსეული მხედრები.

დააბიჯებს სიხარული იმხელა, შეგრცხვება, რომ არ გიყვარდეს მტერიც კი სულს შუქივით მოეფინა სიმღერა, სიჩუმისთვის ერთი წამით ვერ იცლი.

ტკბილი სიტყვა გულებიდან ტკივილს შლის, გულისკენ გზა მხოლოდ ტრფობით გაკვალეს, დავეძებთ მზეს ერთმანეთის ღიმილში, ერთმანეთის თვალებში კი ვარსკვლავებს.

თითქოს ახდა საოცარი სიზმარი და ზღაპრებთან სიახლოვეც ვიგრძენით, ბრწყინავს დილა, ჩიტთა ნაჭიკჭიკარი, დღეს ყველა ვართ მეკვლე ან მასპინძელი.

ეს ხალისი აღარ გაქრეს არასდროს, ჩვენი ოცნებები რთავენ ნაძვის ხეს. განა ღვინომ, - სიყვარულმა დაგვათროს, ნატვრა მხოლოდ სასიკეთოდ აგვიხდეს.

ყველა გული ახლა იმედს უგალობს, ველით დღეებს, მშვიდს, მხიარულს, ხვავრიელს, ფუძე-ჭერი დაგვილოცე, უფალო! ჩვენი ღებნა იყოს მრავალშამიერ!

რომან ზუკაკიშვილი

გილოცავთ შობა-ახალ წელს!

ამბობენ, რომ...

- * თუკი ახალი წლის წინა დღეს სახლში არსებულ ფულს არ გასცემ სესხად – მთელი წლის განმავლობაში ფულზე გასაჭირი არ იქნება.
- * თუკი ახალი წლის ღამეს ჩაიცვამ რამე ახალს, დამდეგი ახალი წელი იქნება წარმატებული.
- * ვისაც ახალ წელს ჯიბეები ცარიელი აქვს, მთელი წლის განმავლობაში განიცდის ფულის დანაკლისს.
- * საახალწლო მაგიდაზე უნდა იყოს უხვად საჭმელი, ხილი და სასმელი, რომ შემდეგ წელს სახლში იყოს სიუხვე. ფულის სესხება საახალწლოდ არ შეიძლება არანაირი პირობით, თუ გინდათ,

რომ მთელი წელი არ იყოთ ვალებში.

- * თუ ახალი წლის დღით სახლში პირველი შემოვა მამაკაცი – ეს წელი იქნება ბედნიერი და იღბლიანი, ხოლო თუ ქალი შემოვა – მოხდება პირიქით.
- * ახალი წლის ღამეს არ შეიძლება კამათი, ჩხუბი, ტირილი ან ადრე წასვლა დასაძინებლად, რადგან არსებობს გამოთქმა: როგორც შეხვედები ახალ წელს, ისე გაატარებ მთელ წელიწადს.
- * ახალი წლის წინ არ არის კარგი სახლიდან ნაგვის გამოტანა, წინააღმდეგ შემთხვევაში დამდეგ წელს არ იქნება ოჯახური კეთილდღეობა.
- * ბოლო ჭიქა, რომელიც ისხმება ახალი წლის ღამეს, მოუტანს ბედნიერებას მას, ვინც დალევს ამ ჭიქას ბოლომდე.

საქართველოს ქორეოგრაფიულ მოცანეთა შემოქმედებითი კავშირი გილოცავთ ახალ 2014 წელს!

ქრისტესობის მოლოცვა

წმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე)

მოგილოცავთ წმინდა დღეს ქრისტესობას. მოგილოცავთ იმას კი არა, რომ ეს დიდებული დღე შეგიძლიათ გაატაროთ უქმად, მოგილოცავთ იმიტომ კი არა, რომ ეს დღე უქმობის დღედ მიგვაჩნია, არამედ იმიტომ, რომ ამ დღესთან ერთად მოეფინა ქვეყნიერებას ნათელი ჭეშმარიტებისა და ხორცისაგან ძლეული სული აღმობრწყინდა მთელს თავის საოცარს მშვენიერებით. დღეს იშვა ქრისტე ღმერთი ჩვენი, ძედ კაცისად მოვლენილი ქვეყანაზედ, რომ კაცს კაცობა ასწავლოს, კაცობა უმოძღვროს. დღეს იშვა ღმერთი უანგარიშო სათნოებისა, მოწყალებისა, ღმერთი ჭეშმარიტებისა და სიყვარულისა. აი, რით არის სასიხარულო, კურთხეული და მისალოცავი ეს დიდებული დღე, ეს დიდებული დღესასწაული უბინოდ შობილისა, რომელმაც კაცთმოყვარეობასა და ურთიერთის სიყვარულზედ ააშენა თავისი დიდებული მოძღვრება კაცთა ხსნისა და მაცხოვრობისა.

აი, დღევანდელი დღის სიხარულმა სად უნდა მიანგდენინოს თვალი ადამიანსა და უკვე ჩასახული ადამიანის გულში ყოვლადმხსნელი სიყვარული მოყ-

ვასისა ააფრთოვანოს, გააძლიეროს მოქმედებისა და მოღვაწეობისათვის. ამ მხრივ დღევანდელი დღე არის დღე შრომისა, დღე თავის თავის განკითხვისა. აქ სული და გული ადამიანისა უნდა პასუხს აძლევდეს იმ ყოვლადმონყალე მსაჯულსა, რომელსაც მოძმეთა სიყვარული ჰქვიათ და რომელიც ასე უანგაროდ სტირის მტირალთან, ჰხარობს მოღბინართან, იტანჯვის ტანჯულთან, პურს აწვდის მშვიერსა, წყალს აწვდის მწყურვალსა, ჰმოსავს შიშველ-ტიტველსა, ოფლსა სწმენდს მაშვრალსა, ნუგეშს სცემს სწულსა და დაფრდომილსა, ჰპატრონობს ობოლსა, ასულდგმულს დევნულთა მართლისათვის და ათბობს და ანათებს ქვეყნიერობას ხსნისა და ცხოვნებისათვის.

ეს დღე მისალოცავია და ჭეშმარიტად სადიდებელი მართო იმისთვის, ვინც გაგებით და ცოდნით, გულითა და სულით იტყვის დღევანდელსა დღეს:

„შობამან შენმან, ქრისტე ღმერთო ჩვენო, აღმოუბრწყინა სოფელსა ნათელი მეცნიერებისა, რამეთუ რომელნი ვარსკვლავებსა ჰმსახურებდნენ ვარსკვლავისაგან ისწავეს თავყვანის-ცემა შენი, მზეო სიმართლისაო, რომელი აღმობრწყინდი მალლით აღმოსავლეთით, უფალო, დიდება შენდა.“

გაზ. „ივერია“ 1887 წ. N272
25 დეკემბერი (ძვ. სტ.)

აფთხნდილ გურგენიძის საუბილოდ

გატონო ავთანდილ!

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემქმედებითი კავშირი, გამგეობა და ადმინისტრაცია გულითადად გილოცავთ დაბადებიდან 75-ე წლისთავს და გისურვებთ ხანგრძლივ და ჯანმრთელ სიცოცხლეს, შემოქმედებით წარმატებებს და ოჯახის ბედნიერებას.

დიდია თქვენი დამსახურება ქართული ქორეოგრაფიული ხელოვნების და საზოგადოდ

ქართული კულტურის წინაშე. თქვენს ხელში გამოიზარდა მოცეკვავეთა და ქორეოგრაფთა თაობები, რომლებიც წარმატებით აგრძელებენ იმ ტრადიციულ გზას, რომლითაც თქვენ და თქვენი თაობის საუკეთესო წარმომადგენლებმა იარეს.

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემქმედებითი კავშირი, დარწმუნებულია, რომ თქვენს მიერ საფუძველჩაყრილი ტრადიციები თქვენი ოჯახის წევრთა მონადინებით და

მხარდაჭერით კვლავაც გაგრძელდება, რაც ქართული ქორეოგრაფიული კულტურის შემდგომი წინსვლისა და აყვავების საწინდარი გახდება.

საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირი
საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა შემოქმედებითი კავშირის მრჩეველთა საპატიო საბჭო

საქართველოს ქორეოგრაფია

მის: თბილისი,
ბ. ტატილაშვილის ქ. №8

სარედაქციო საბჭო:

რეზო ჭანიშვილი, ოლეგ ალავიძე,
რევაზ ბალანჩივაძე,
უჩა დვალისხილი,
ზაურ ლაზიშვილი, ნინო მდევაძე,
ბესიკ სვანიძე, თენგიზ უთმელიძე.

საავტორო უფლებები დაცულია, მასალების გადაბეჭდვა რედაქციასთან შეუთანხმებლად დაუშვებელია, ავტორთა აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. ავტორები თავად აგებენ პასუხს ფაქტების, ციფრებისა თუ ციტატების სიზუსტეზე. მასალებს ხუთ ნაბეჭდ თაბახზე მეტს ნუ შემოგვთავაზებთ. შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

რედაქტორი:
რუსუდან კანჭოშვილი

ტელ.: 2 35 48 41
558 19 00 14

Facebook – საქართველოს ქორეოგრაფია www.qor.org.ge